ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 2013 | №238 (6239) | ფასი: 30 თეთრი

8 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
მტაცებლები
10 ლარი



კახა კუკავა: „სუბარმა ცხენ სამართავად კრიმინალებს გადასცა“ გვ.5

მამუკა არეშიძე: „ქართველები თუ წავლენ ოლიმპიადაზე, წაიყვანონ ის მეზენიტე, რომელმაც ნიჩაევის თვითმფრინავი ჩამოაგდო“ გვ.3

უნდა მიიღოს თუ არა საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა

„კრიჭაშეკრული სააკაშვილი სარკოზის ნაჩუქარი კონიაკით მოასულიერეს“ გვ.5

სოსო ცისკარიშვილი: „ღარიბაშვილმა და ალასანიამ სუფრაზე უნდა გაარკვიონ ურთიერთობები“ გვ.2

რატომ იცვლებიან ბაჩო ახალაიას პროცესზე პროკურორები?! გვ.4

გვ.3

დავით უსუფაშვილი: თუ რუსეთი სპორტული ლონისძიების პოლიტიკურად გადააქცევას შეეცდება, მაშინ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს“

არჩევნების გაყალბების სქემის „ნავარო-ტკები“

გვ.6

გვ.5

ნუგზარ წიკლაური: „რუსეთის ეს ნაბიჯი ცინიკური ქესტია“

ნინო ბურჯანაძე: „ჩემი საპრეზიდენტო პროგრამა იმ პარლამენტთან ერთად განხორციელდება, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი იქნება

გვ.2

გვ.5

გიორგი თარგამაძე ჩაის საწარმოს ეწვია

ISSN 1987-9385

4 დავით ზალკალიანი: „რუსეთის მხრიდან ჩვენი კეთილი ნება სათანადოდ არ არის შეფასებული“

6 კახა კალაშოვის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

7 გიორგი მარგველაშვი: „საქართველოში უპრეცედენტო ამნისტიის ფონზე, კრიმინალი ნაკლებია“

6 შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

სოსო ცისკარიშვილი: „ღარიბაშვილმა და ალასანიამ სუფრაზე უნდა გაარკვიონ ურთიერთობები“

ნაციონალებმა საკუთარ თავს პომპეზური გაცილება მოუწყვეს

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ თქვენ პრესკონფერენცია გამართეთ და პრემიერთან შეხვედრა ითხოვეთ, რა ხდება, ასეთი რა გაქვთ სათქმელი პრემიერთან?

— ეს უფრო გაზეთის ინტერპრეტაცია იყო, რადგან არანაირი ასეთი მოთხოვნა მე არ გამიჟღერებია ბრიფინგისას. უბრალოდ ვსაუბრობდი იმაზე, რომ გავა დრო, მოვემზადები შეხვედრისათვის, როგორც ეს ისურვა ბატონმა პრემიერ-მინისტრმა და მერე ასეთი შეხვედრაც შედგება. ამდენად, ასეთი შეხვედრის დაჩქარების აუცილებლობას ვერ ვხედავ. ექსპერტების მოთხოვნით ასეთი შეხვედრები არ იმართებოდა. ეს ინიციატივა ყოველთვის მოდიოდა პრემიერ-მინისტრისგან და ის თავად განსაზღვრავდა ასეთი შეხვედრის დროს.

— თქვენ რატომ ვერ მოხვდით იმ ექსპერტთა რიცხვში, ვისაც პრემიერი შეხვდა?

— მე არ გახლდით საქართველოში იმ პერიოდში, მხოლოდ წინა დღეს მივიღე ასეთი შეტყობინება ესესმესით და ევროპიდან ასე მალე ვერ აღმოვჩნდებოდი თბილისში. თუმცა შემდგომ, ცხადია, მომეცა საშუალება ამ გადაცემის ყურების, მერე უკვე დაველოდე და დავტკბი იგივე ფორმატით ჟურნალისტებთან შეხვედრისას, ასე რომ...

— ბატონო სოსო, დატკბით ბრჭყალებში თუ პირდაპირი მნიშვნელობით?

— ერთი ბრჭყალი დავუსვათ, მეორე არა. ანუ პირდაპირიც და არაპირდაპირი მნიშვნელობითაც შეგვიძლია ვიხმაროთ, მაგრამ როცა გავეცანი ბატონი პრემიერის გამოსვლის ტექსტს ოზურგეთში, მაშინ, რასაკვირველია, დაზუსტების ინტერესი გამიჩნდა, რას ნიშნავს — აღარ ვიყიდით ექსპერტების გამონათქვამებს. საინტერესოა სია იმ ექსპერტების, რომლის გამონათქვამებსაც თურმე ყიდულობდა ბატონი ბიძინა. თუ ექსპერტების ყიდვა ასეთი მარტივია, მე მგონი ამ თემაზე დისკუსიას შესაძლოა ჰქონდეს აზრი სწორედ ღია ეთერში. იგივე იყო ნათქვამი ჟურნალისტებთან დაკავშირებითაც, მაგრამ მე მგონი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს თემა სატელევიზიო პირდაპირი ეთერით სხვადასხვა პროფესიის ადამიანების შეხვედრისა პრემიერ-მინისტრთან. ბიძინა ივანიშვილი უფლებამოსილია თავად შეარჩიოს საკუთარი სტუმრებიც და ფორმატიც მათთან შეხვედრის. როგორც ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენ. ნუ ჩავთვლით ამას ყველაზე მნიშვნელოვან პროცესად საქართველოში არსებული სიტუაციისა.

— მაშინ უფრო მთავარ პროცესებზე გადავიდეთ. მინდა გითხრათ, რომ ძალიან აღელვებს და აღიზიანებს საზოგადოებას ეს სისტემატური სოციოლოგიური კვლევები და დავით ბაქრაძის მეორე ადგილი. რა ხდება, ბატონო სოსო, რა პროცესებთან გვაქვს საქმე? წინასწარ აჩვენენ ამომრჩეველს, რომ ასეთი შედეგი დაიდება?

— „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“-ო ნათქვამია. ნაციონალური მოძრაობა წლების განმავლობაში უკვეთავდა და იღებდა იმ შედეგებს, რაც იყო დაკვეთილი. ყველაზე კარგი გაკვეთილი ამ კუთხით იყო ენდიაის კვლევები შარშან არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე. მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მათ კვლევაში ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციის მხრიდან არ იყო არც პირველ და არც მეორე ადგილზე. გვახსოვს ჩვენ ის ჟურნალისტები, რომლებიც სათავეში მოექცნენ ასეთ სარეიტინგო სიას. თავად ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის აპარატი უკვეთავს კვლევას, ეს უკვე სამართალდარღვევაა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი ასეთ საკითხებზე არ უნდა იხარჯებოდეს. თუ პოლიტიკური პარტიის ინტერესია, ის უნდა ფინანსდებოდეს იმ პარტიის ფულით, რომელიც უხვად მიიღო „ქართული ოცნებისგან“ ნაციონალურმა მოძრაობამ. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ნიჰილიზმი საზოგადოების, ნებისმიერი გამოკითხვის მიმართ არცთუ უსაფუძვლოა. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი კანდიდატი თუ თვითონ ჩაატარებს ასეთ კვლევას, მეორე ადგილზე მაინც გაიყვანს თავის თავს. მაშინ, როდესაც უმრავლესობას ამ კანდიდატებიდან 1%-იანი ბარიერის გადალახვის შანსიც კი არ გააჩნია.

— ალბათ საინტერესოა ის მომენტი, როდესაც ხელისუფლება უკვეთავს კვლევას და მაინც ამ შედეგს ვღებულობთ...

— ხელისუფლება ჩვენ ამჟამად ორი გვყავს.

— ამ შემთხვევაში ახალ ხელისუფლებას ვგულისხმობდი...

— არაერთხელ მითქვამს სხვადასხვა მიზეზით, რომ იმაზე უკეთეს ოპოზიციას, როგორიც არის ნაციონალური მოძრაობა, ვერ მოიპოვებს ნებისმიერი ქვეყნის ვერც ერთი ხელისუფლება. რადგან ხელისუფლებას აქვს უზარმაზარი უპირატესობა, რომ მათ ძირითად ოპოზიციურ ძალას, მარტივად რომ ვთქვათ, ხალხი ვერ იტანს, ხალხს ეზიზღება, ამიტომ ძალიან მარტივია, მათ მიმართ მოთხოვნის ასეთი დაბალი პროცენტის გამო, შეინარჩუნონ უფრო მარტივად ეს ძალაუფლება, რომელიც ლეგალურად გააჩნია დღეს „ქართულ ოცნებას“. არ ვიცი, ეს გაცნობიერებული თუ ქვეცნობიერი ლტოლვაა, მაგრამ წაგვიკითხავს კიდეც ამ მომრაობის ლიდერების გამონათქვამები, რომ მათ ბაქრაძე ურჩევნიათ ბურჯანაძეს. მათ აღარ აინტერესებთ საქართველოს ამომრჩეველის აზრი, ვის უფრო წინ დააყენებენ, ნაციონალური მოძრაობის სახეს და მათ ფავორიტს თუ სხვას ვინმეს. ამიტომ შეიძლება სხვა პირობებში, ჩემ მიერ მოყვანილი ფორმულა, რომ რაც უფრო სხვლს საზოგადოებას რომელიმე პოლიტიკური ძალა, ის არის ყველაზე სასურველი ოპოზიციონერი ხელისუფლებისთვის, შეიძლება სხვა ქვეყანაში, სხვა ვითარებაში იყოს გამართლებული, მაგრამ როდესაც ხელისუფლებაში მოდის ძალა, რომელმაც გმირული თავგანწირვის შედეგად მიაღწია გამარჯვებას და კარგად ახსოვს, როგორ სადისტურ-მავნებლური იყო ქმედება მათი ოპონენტი პოლიტიკური ძალის, ახლა მათი შეჩეჩება საზოგადოებისთვის, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის, არის არანაკლები დანაშაული, ვიდრე სჩადიოდა ამას საკუთარი თავის ყალბად წარმოსაჩენად თავად ნაციონალური მოძრაობა. ვნახოთ, საზოგადოება, მე მგონი, კარგად არის ინფორმირებული პროცესების მიმართ. შესაძლოა, ეს არ მოსწონს ვინმეს ან ხელისუფლებაში, ან ფსევდო ოპოზიციაში, მაგრამ მე სადაც ხელი მიმწვდომია, შევსულიყავი კონტაქტში სხვადასხვა ქალაქის თუ სოფლის მოსახლეობასთან, მათ შორის საზღვარგარეთ, ქართულ დიასპორასთან, ვერ მოვიძიე თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის გარდა ადამიანები, რომლებმაც შესაძლოა მისცენ ხმა ნაციონალურ მოძრაობას.

— ბატონო სოსო, თქვენ ბრძანეთ, თავად აცხადებს ხელისუფლება, რომ ბურჯანაძეს ბაქრაძე ურჩევნია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საარჩევნო კომისიაში ძირითადად ეს ორი ძალაა, ხომ არ დადგება მართლაც ის რეალობა, რომ პირველ-მეორე ადგილს გაინაწილებს მარგველაშვილი-ბაქრაძე? რამდენად სახიფათო იქნება ეს, ხომ არ გამოიწვევს ქაოსს და დაპირისპირებას?

— თუკი ასეთ სურათს მივიღებთ, მაშინ რისხვას, რომელიც საკუთარ თავზე ინვნია ნაციონალურმა მოძრაობამ შარშან ოქტომბერში, გადაინაწილებს გარკვეულწილად საპარლამენტო უმრავლესობაც. მე მგონი, არცთუ მშვიდი იქნება გაგრძელება ამ დისკუსიის შემდგომში, რადგანაც ისედაც ძლივს დამშვიდდა რეგიონებში დაპირისპირება, ზოგან კანონიერი, ზოგან უკანონო, მაგრამ უკმაყოფილება რომ არსებობდა პოლიტიკური კუთხით, აღარაფერს ვამბობ სოციალურ საკითხებზე, ეს მხოლოდ გამწვავდება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას გაუჩნდება სანდო არგუმენტები, რომ კვლავ მათ ზურგს უკან რაღაც შეთანხმებებს და გარიგებებს აქვს ადგილი.

— მეორე ტურს თუ ელოდებით? როგორია თქვენი პროგნოზები?

— მეორე ტური ძირითადი წარმატება შეიძლება იყოს ქართული დემოკრატიის, რომელიც ქართულის ცუდად მცოდნე, ჩემს ციტატებს რომ ამოკრიფავს ხოლმე და ამახინჯებს ამ ჩემს პოზიციას, თითქოს მე როდესმე მითქვამს, რომ თუ არ იქნა მეორე ტური, არ იქნება დემოკრატია. არა, ბატონებო, მეორე ტური თავისთავად იქნება მაჩვენებელი დემოკრატიული პროცესების სიჯანსაღის ქვეყანაში. რასაკვირველია, ეს არის სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი მოვლენა, თუ ეს არ არის სამართლიანობის შედეგი. მეორე ტური გახლავთ უკვე გაჟღერებული ოცნება ნაციონალური მოძრაობის. მათ სურთ, უპირველეს ყოვლისა, დაუმტკიცონ თავის საზღვარგარეთელ ლობისტებს, რომ ისინი რეალურად მეორე პოლიტიკური ძალა არიან ქვეყანაში და ისიც დროებით. რადგან განსხვავებით „ქართული ოცნების“ ლიდერისგან, მათგან არავინ აპირებს სადმე წასვლას და ბატონმა სააკაშვილმა ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა ვერ შეელია ამ პარტიის თავმჯდომარეობას.

— ვიხილეთ მათი თავყრილობა სპორტის სასახლეში და ამანაც არანაკლები გაღიზიანება გამოიწვია საზოგადოებაში...

— მაგათ, შეიძლება ვთქვათ, რომ ძალიან პომპეზური გაცილება მოუწყვეს საკუთარ თავს. როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ხელისუფლების სადავეები მათ აღარ ექნებათ ნოემბრიდან.

— ეს იყო გაცილება?

— კი. ძალიან მოიხალისეს საკუთარი თავი, პატივი სცეს. ამდენი ხუთიანების ლაქუცით ალბათ დაიღალნენ და დროშაზეც თურმე ჯვარი აღარ ექნებათ. ეს დამოკიდებულებაა, უპირველეს ყოვლისა, ქართული მართლმადიდებლობის და ზოგადად რელიგიის მიმართ, რადგან ქართული მართლმადიდებლობა იყო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ინსტიტუტი, რომელიც ვერ ეგუებოდა სააკაშვილის და მისი გუნდის მართვის ვერაგულ პრინციპებს. ახლა მათ გააჩნიათ უკვე დიდი არჩევანი, შეუძლიათ ნებისმიერი ორგანო დახატონ საკუთარ დროშაზე და კარგია, რომ დაიწყეს გულით. ალბათ ტვინის დახაზვა უფრო ძნელია მათთვის და შესაძლოა არც აუცილებლობას წარმოადგენს ეს ორგანო მათი უმრავლესობისათვის.

— ბატონო სოსო, ამ ფონზე კარგად არის ცნობილი ის ფაქტიც, რომ პრემიერი მიდის და ის გადავა არასამთავრობო სექტორში. საზოგადოების ჯანსაღ ნაწილშიო, როგორც თავად ბრძანებს. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი თავდაყირა ხომ არ დააყენებს პოლიტიკურ პროცესებს? რა უნდა ველოდოთ?

— მე მგონი, უნდა ველოდოთ, რომ უფრო მეტი დამოუკიდებლობის პირობებში, საპარლამენტო უმრავლესობა იქნება თუ კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები, მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ და მიუხედავად იმისა, რომ არ არის გამორიცხული რაიმე კოალიციური გაუგებრობები, იმედი მაქვს, რომ ეს დაპირისპირებაში არ გადავა და მივიღებთ ჩვენ სწორედ პლურალიზმს, რომლის არსებობა დღეს მაინცდამაინც დამაჯერებელი არ არის სახელისუფლებო გუნდში. ჩვენ უნდა ვეძებოთ პოზიტიური ნიშნები ივანიშვილის სამოქალაქო საზოგადოებაში გადასვლის გამო. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენი გაცნობისას, 2011 წლის ოქტომბერში, მან იმ შეხვედრაზევე მითხრა, რომ ის ორი, მაქსიმუმ სამი წლით არის მოსული პოლიტიკაში. შემდეგაც უთქვამს, რომ მას ძალიან ენატრება თავისი ბიზნესი და ამდენად მისი მზაობა, რომ რეალურად სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურა გახდეს, გასაგებია და ეს ის საკითხია, რომელზეც დავა, მე მგონი, ნაგვიანებია, რადგან ესეც ადამიანის პოლიტიკური ხედვების და გემოვნების ნიმუშია. კვლავ გავიმეორებ, რომ გემოვნებებზე არ დავობენ. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თუკი რაიმე მისთვის მოულოდნელი და მიუღებელი პროცესი დაიწყო ქვეყანაში, ის არ დაიმალება რომელიმე ენჯეოში და მისი აქტიურობა საზოგადოებრივ ასპარეზზე იქნება საკმაოდ ავტორიტეტიანი და გავლენიანი მთლიანად საზოგადოების განწყობაზე. ამდენად, პრემიერ-მინისტრი რჩება და ეს მხოლოდ გაზრდილი პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს, იმ პოლიტიკოსებისა და იმ ინსტიტუტებისა, რომლებიც თავს უფრო კომფორტულად გრძნობდნენ პრემიერ-მინისტრის საფარის ქვეშ.

— ბატონო სოსო, საუბრისას გაკვრით ვახსენეთ დაპირისპირება უმრავლესობაში, რომელიც შეიძლება უფრო აქტუალური გახდეს პრემიერის წასვლის შემდეგ. ჩვენ უკვე სახეზე გვაქვს ალასანიას და ღარიბაშვილის მსუბუქი პაექრობა, კინკლაობა... ამის თაობაზე როგორი იქნება თქვენი შეფასებები?

— მოხარული ვიქნები, თუ თქვენ მიერ ნაგულისხმევი ორი მინისტრი, ძალოვნები, სადმე, რომელიმე ფარული კამერის მიერ დაფიქსირებულნი იქნებიან რომელიმე რესტორანში, მაგიდასთან შეზარხოშებულ ვითარებაში, სადაც მათ ექნებათ საშუალება, გულწრფელად, პირისპირ ისაუბრონ და მოხსნან ყოველგვარი გაუგებრობა მათ ურთიერთობებს. უპირველეს ყოვლისა, ამით ზარალდება სახელმწიფო ინტერესები. ორივე ადამიანი ჩემთვის ძალიან პოზიტიური პიროვნება გახლავთ და ძალიან მაწუხებს ის, რომ მედიის საშუალებით უხდებოდათ მათ ურთიერთობა. ვისურვებდი, რომ სწორედ ამ ძველი ქართული ტრადიციით, ქართულ სუფრასთან განიმუხტოს სიტუაცია. მესამე კაცი თუ დასჭირდათ, მზად ვარ შევუერთდე.

ნინო ბურჯანაძე: „ჩემი საპრეზიდენტო პროგრამა იმ პარლამენტთან ერთად განხორციელდება, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი იქნება“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, გუშინ, საკუთარი საპრეზიდენტო პროგრამა, მედიის, არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ წარუდგინა.

როგორც პრეზენტაციაზე განაცხადეს, პროგრამა პრეზიდენტის კომპეტენციის ჩარჩოებშია გაწერილი და მისი მთავარი ამოცანების განსახორციელებლად მთავრობასა და პარლამენტთან თანამშრომლობაა აუცილებელი.

პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, პროგრამა ისეთ პარლამენტთან განხორციელდება, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს და არა ალბათ ამ პარლამენტთან, რომელიც რეალურად არ გამოხატავს ხალხის ნებას, თუმცა, ნინო ბურჯანაძის თქმითვე, სანამ არ იქნება ახალი არჩევნები, ბუნებრივია, თანამშრომლობა არსებულ პარლამენტთანაც შესაძლებელია.

„მოხარული ვარ, რომ ექსპერტებმა და სპეციალისტებმა დოკუმენტს მართლა მაღალი შეფასება მისცეს და ქვეყნის წინსვლის პროგრამაც კი უწოდეს, რაც ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავს როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით. აქ ძალიან ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს კომპეტენტური და სწორი მართვის შედეგად ქვეყანაში, რა პრობლემები უნდა მოგვარდეს როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე, რათა ქვეყანა საერთაშორისო სამართლის ობიექტიდან, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად კვლავ იქცეს და საკუთარი ინტერესების განხორციელება, უპირველესად გამთლიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უზრუნველყოს და უზრუნველყოს ასევე ეროვნული იდეით ქვეყნის განვითარება“ — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა არეშიძე: „ქართველები თუ წავლენ ოლიმპიადაზე, წაიყვანონ ის მეზენიტე, რომელმაც ნიჩაევის თვითმფრინავი ჩამოაგდო“

შორენა მარსაგიშვილი

უნდა მიიღოს თუ არა საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა

სოჭის ოლიმპიადამდე მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩა და იქ გასამართი ღონისძიება სულ უფრო სცილდება სპორტულ ასპარეზობას. ეს ოლიმპიადა თავიდანვე პოლიტიკური შეფერილობის იყო, აგვისტოს ომის შემდეგ კი პირდაპირ პოლიტიკური ღონისძიება გახდა.

საქართველოს ხელისუფლება კი ჯიუტად ამტკიცებს, რომ ეს ოლიმპიადა სპორტული ზეიმია და მას პოლიტიკური შეფერილობა არ უნდა მივცეთ. თუმცა ბოლო დღეებში ამ პოზიციას ძველებურად ვეღარ აფიქსირებენ. იმ ფაქტმა, რაც 2 დღის წინ მოსკოვში მოხდა, ჩვენს მეოცნებე ხელისუფლებასაც დაუკარგა განწყობა.

6 ოქტომბერს ტელეკომპანია „რასიას“-ს ცნობით, სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე რუსი სამხედრო მფრინავი, ივან ნიჩაევი იქნება, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ბომბავდა და რუსეთში მას „გმირის“ სტატუსიც მიანიჭეს.

ტელეკომპანიის მიერ მომზადებული სიუჟეტის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოში, სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც ნიჩაევი მართავდა, დაბომბეს, თუმცა, პილოტმა დავალება შეასრულა და ავიაბაზაზე თვითმფრინავის დაშვება შეძლო.

ივან ნიჩაევის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ ყველაფერს ღირსეულად გაართმევს თავს, თუმცა გარკვეული მღელვარებაც აქვს.

– ეს არის დიდი ისტორიული მომენტი ჩემი და ჩემი ქვეყნის ცხოვრებაში, – განაცხადა ნიჩაევმა.

ალბათ ყველანი კარგად ხვდებით, რომ ავად სახსენებელ ნიჩაევს მეჩირაღდნის ტიტული სპეციალურად უბოძეს და ეს ასევე ავადსახსენებელი პუტინის გადაწყვეტილებაა.

ნიჩაევისთვის მეჩირაღდნის ტიტულის მინიჭებამ საქართველოს მოსახლეობის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მათ შორის ისინიც კი აღშფოთდნენ, რომლებიც რუსეთის მიმართ ასე თუ ისე ლმობიერად იყვნენ განწყობილი. თუმცა ისეთებიც მრავლად არიან, ვინც ნიჩაევის მეჩირაღდნეობაში დიდ ტრაგედიას ვერ ხედავს.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ საქართველო მაინც მიიღებს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას, იმის მიუხედავად თუ ვინ იქნება ოლიმპიადის მეჩირაღდნე რუსეთის მხრიდან.

– რეგიონალური უსაფრთხოებიდან და გარკვეული პრესტიჟიდან გამომდინარე, უკეთესია მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაში. რუსეთმა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, ოკუპაცია განახორციელა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მივიღებთ მონაწილეობას, თუ ჩვენ დავიწყებთ ჩხირკედელაობას, ვის ეჭირება ხელში ჩირაღდანი და დავიწყებთ ჩვენი პოზიციის გადახედვას, მე ვფიქრობ, არასწორი იქნება, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

საქართველოს მთავრობა სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას და ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავის დასახელებას სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა

– ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ფონზე სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოლიმპიური გუნდის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება უკიდურესად რთული მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გამოხატა კეთილი ნება და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თანამიმდევრული მოწესრიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე.

ვთვლიდით და ახლაც ვთვლით, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყნის მოქალაქეებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ რთულ გზაზე კი, აუცილებელია ურთიერთობის ისეთი სფეროების გამოკვეთა, რომლებიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია და ასევე ნაკლებად უკავშირდება საქართველოს რუსეთის ძირითად პრობლემებს. ასეთებად ჩვენ მივიჩნევთ კულტურას, ვაჭრობას, სატრანსპორტო კავშირებს, ტურიზმსა და სპორტს.

სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს კეთილი ნება ჯერ კიდევ ვერ ან არ არის სათანადოდ შეფასებული და შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციები. მაშინ, როდესაც ჩვენი სურვილია ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და მონაწილეობის მიღება ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებაში, რადგან ოლიმპიური იდეა სწორედ მშვიდობასა და თანამშრომლობას ემსახურება, მეორე მხარე სწორედ პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობს მის გამოყენებას.

სხვა ვერაფრით აიხსნება, მაგალითად, ის, რომ ოლიმპიადის ერთერთ მეჩირაღდნედ რუსეთმა შეარჩია ,,2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავი“. ცხადია, ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, თავად აირჩიოს გმირები, მაგრამ ასევე ცხადია, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების მსურველი ქვეყანა ასე გამომწვევად არ მოიქცევა.

საქართველოს მთავრობის ყურადღების მიღმა არც ის რჩება, რომ სოჭის ოლიმპიადასა და საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მწვავდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებასთან – პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამავე დროს საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთგულია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების არჩეული – თანამიმდევრული კურსის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს. თუ საქართველო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ხდება სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზაცია და მისი მიზანმიმართული გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და ინტერესების დასაცავად შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები და ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების მთავრობები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს, – ნათქვამია საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებები გუშინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტშიც გააკეთეს. კომიტეტში მიაჩნიათ, რომ საქართველომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, კომიტეტმა გადაწყვეტილება შეცვალოს. ამ ეტაპზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შესაშური ერთსულოვნებით უჭერს მხარს სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ბოიკოტის შემთხვევაში საქართველოს სერიოზული სანქციები ემუქრება. თუმცა როგორც გუშინ გაირკვა, სანქციები არც ისეთი მკაცრი იქნება, როგორც ჩვენ გვგონია.

– საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ოლიმპიური ოჯახიდან არ მოიკვეთება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თემის კომენტარებისას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა კახა ბერიძემ განუცხადა.

მისი განმარტებით, ოლიმპიური ქარტიის ან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დებულებების დარღვევისთვის გათვალისწინებულია სანქციები, თუმცა ქარტიაში ნათქვამი არ არის, რომ ქვეყანა, რომელიც ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარს იტყვის, ოლიმპიური ოჯახიდან ავტომატურად მოიკვეთება.

– ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბება და იმსჯელებს. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი ვერდიქტი იქნება. კონკრეტულად გაწერილი სანქციები არ არის. ფაქტი, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე უარის გამო ქვეყანა მოეკვეთოთ, არ ყოფილა. 1980 წელს მოსკოვში ბევრი ქვეყანა არ ჩავიდა, 1984 წელს ლოს ანჯელესში კი არ ჩავიდა საბჭოთა კავშირი. მომდევნო ოლიმპიადებში მათ ჩვეულებრივ მიიღეს მონაწილეობა, – განაცხადა კახა ბერიძემ.

მისი ინფორმაციით, ოლიმპიური ოჯახიდან ქვეყნის მოკვეთა ძირითადად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში უხეში პოლიტიკური ჩარევისას ხდება.

ამ ეტაპზე, კახა ბერიძის განმარტებით, აღნიშნული მოტივით მოკვეთილია ინდოეთი.

– ეს მკაცრად არის მითითებული. თუ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში მთავრობა უხეშად ჩაერევა, ამ შემთხვევაში ჩვენი მოკვეთაც მოხდება. თუ საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარს იტყვის, მოტივი უნდა დაასაბუთოს. სოკ-იც მიხვდება მიზეზს, რატომ არ წავალთ. თუმცა, ეს სულ სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა – იგივეა, რაც 1980 წელს – ამერიკამ და 1984 წელს საბჭოთა კავშირმა მიიღეს. აქ საუბარია იმაზე, რომ არ მოგწონს, ან პოლიტიკურ ნიადაგზე ეს შენთვის მიუღებელია და არ მიდიხარ. სოჭში თუ არ წავალთ, დიდი ალბათობით არ მოვიკვეთებით, თუმცა ეს დამოკიდებულია სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, – განმარტა კახა ბერიძემ.

რაც შეეხება ოლიმპიური ქარტიის, მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ან ნებისმიერი სხვა დებულების დარღვევის შემთხვევებს, მათთვის განკუთვნილი სანქციები ოლიმპიური ქარტიის 23-ე პუნქტშია გაწერილი.

პუტინის ოლიმპიურ ოხუნჯობებს ქართველი პოლიტიკოსებიც გამოეხმაურნენ. რამდენიმე პარტიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა. პარტია „თავისუფალი საქართველო“ აქამდე მიიჩნევდა, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი არ უნდა გვეთქვა. 6 ოქტომბრის შემდეგ კი პოზიცია შეცვალეს.

– „თავისუფალი საქართველო“ ვერასოდეს ვერ შეურიგდება რუსეთის ოკუპაციას და ოკუპაციის შედეგად განხორციელებულ დამამცირებელ მოქმედებებს საქართველოს და მისი მოქალაქეების მიმართ, გამოხატულს ცივი ომის დროინდელი გამყოფი ბარიერების აგებითა და მავთულხლართების გავლებით ქართველთა ეზოებსა და წინაპართა საფლავებზე.

გასაგებია, რომ ბოიკოტი, ეს იქნება ძალიან ძნელი ნაბიჯი, განსაკუთრებით ჩვენი სპორტსმენებისათვის, რომლებმაც ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვეს, მაგრამ რუსეთი დაკავებული საკუთარი ექსპანსიონისტური პოლიტიკით, სხვა გზას არ გვიტოვებს გარდა ოლიმპიადის ბოიკოტისა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან „თავისუფალი საქართველო“ მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს ინდივიდუალური მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოში შექმნილ უმძიმეს სიტუაციაზე, რაც სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების მიზეზი ხდება.

დღეს, როდესაც საქართველოს ასე უჭირს, განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან ასეთი დამცირებისა და შეურაცხყოფისა, საჭიროა კიდევ უფრო მეტი შემართებით, მშვიდობიანი პოლიტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, სერიოზული საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებითა და გულშემატკივრების არმიის შექმნით ვიბრძოლოთ ოკუპაციის შედეგების საღიკვიდაციოდ. სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებაც რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესიის წინააღმდეგ მიმართული მშვიდობიანი პოლიტიკური პროტესტის ფორმაა, რაც ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ.

რაც შეეხება რუსი სამხედრო მფრინავის მეჩირაღდნეობას ოლიმპიადაზე, რომელიც 2008 წელს მონაწილეობდა საქართველოსთან ომში, ის უკვე „გაჭრილი კარტია“ ქართველი მამაცი ჯარისკაცების მიერ, რომლებმაც მისი ჩამოგდება და ბრძოლიდან გამოთიშვა შეძლეს. ამდენად, მის მიერ წამოღებული „ჩირაღდნიდან ალი ვერ აინთება“ და ისტორიას ჩაბარდება, როგორც ოლიმპიადის სამარცხვინო აქტი, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე პარტიის გენერალურმა მდივანმა ალეკო შალამბერიძემ.

დეპუტატ გიორგი კანდელაკის განცხადებით. რუსეთი სოჭის ოლიმპიადას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ლეგიტიმაციისთვის გამოიყენებს.

– თავიდანვე ცნობილი იყო, რომ რუსეთი სოჭის ოლიმპიადის გამოყენებას შეეცდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ლეგიტიმაციისთვის. სოჭში აფხაზებისა და ოსების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებას გამართავენ, სადაც მოხდება საქართველოს დამცირება და ეროვნული ღირსების აბუჩად აგდება. რთული არჩევნის წინაშე დგანან სპორტსმენები და მათ უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ოლიმპიადაზე წასვლა. მე პირადად არ წავიდოდი, რადგან არ მენდომებოდა მონაწილეობა მიმეღო საქართველოს დამცირებასა და ოკუპაციის ლეგიტიმაციაში, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ყველაზე საინტერესო განცხადება მამუკა არეშიძემ გააკეთა. წესით და რიგით საქართველოს ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს.

– ქართველები თუ წავლენ ოლიმპიადაზე, წაიყვანონ ის მეზენიტე, რომელმაც ნიჩაევის თვითმფინავი ჩამოაგდო და მისი სახელი და გვარი ცნობილია, – განაცხადა მამუკა არეშიძემ.

როგორც არეშიძემ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას აღნიშნა, ქართულმა მხარემ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების საკითხი პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს.

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი უნდა განვიხილოთ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე – თუ გვჭირდება მასში მონაწილეობა, უნდა მივიღოთ და თუ არ გვჭირდება, არ უნდა მივიღოთ. რისთვის გვჭირდება – ამასაც მნიშვნელობა აქვს, – განაცხადა არეშიძემ.

ამასთან, ექსპერტის თქმით, მან მოიძია ინფორმაცია ნიჩაევის შესახებ და მისთვის უცნობია, თუ რა დამსახურებისთვის მიენიჭა აღნიშნულ პირს რუსეთის გმირის წოდება.

– მე ვიცი, ვინც არის ნიჩაევი. ჩემთვის ცნობილია, როგორ მოხდა 11 აგვისტოს მისი თვითმფრინავის დაზიანება, როგორ გაეთიშა ორივე ძრავი და როგორ დაჯდა მერე სვერლოვსკის აეროდრომზე. სიმართლე გითხრათ, გმირობა რაში მისცეს, ვერ გავიგე. ამ საკითხის გაპიარებაც კი შეუძლია ნებისმიერ მხარს, მათ შორის ქართულსაც. ის იმ კატეგორიას განეკუთვნება, ვისაც გმირის წოდება არარსებულ ქართულ ფლოტთან ომისთვის ჩამოურიგეს, მან დავალება ვერ შეასრულა, პრაქტიკულად ვერაფერს მიაღწია და დაბრუნდა უკან. ვინც იომა ისინი კი – გაყარეს ჯარიდან. ეს ჩვენი საქმე არ არის, თავიანთ თავს უნდა მიხედონ, მაგრამ ჩემთვის საინტერესო იყო ერთი რამ, რომ იყო თუ არა ეს ადამიანი სპორტსმენი. მე გავარკვიე, რომ გაერთიანებული ყოფილა რაღაც სპორტულ საზოგადოებაში და არც ის გამიკვირდება, რომ უცებ აღმოჩნდეს რომელიმე ნაციონალური სპორტული კლუბის წევრი, – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ მამუკა არეშიძემ.

რაც შეეხება ოლიმპიადის მეჩირაღდნეთა სიაში ივან ნიჩაევის ჩასმით რუსეთის ფედერაციის მიზანს, არეშიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ საქართველოს დამცირებას ემსახურება.

– ის რომ გამიზნულად არის ჩასმული მეჩირაღდნეთა სიაში, ეს ფაქტია. და ამის მიზანი დამცირებაა. გარდა ამისა, დემონსტრირება იმისა, რომ რუსი მეომრები და ხალხი ერთიანია. სხვათა შორის, ეს იმის ჩვენების მცდელობაც იქნება, რომ რუსეთის გმირებს მიაქვთ ოლიმპიური ჩირაღდანი და გარკვეული მესიჯია არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ კავკასიელებისთვისაც. ეს არის იმის დემონსტრირება, რომ რუსეთისთვის პოლიტიკური დელიკატურობა არაფერს ნიშნავს და არის ჩვენება იმისა, რომ მას შეუძლია ყველაფერი, – განმარტა არეშიძემ.

დავით უსუფაშვილი: თუ რუსეთი სპორტული ღონისძიების პოლიტიკურად გადააქცევას შეეცდება, მაშინ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს“

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა იმ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმად, სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომის „გმირი“, რუსი სამხედრო მფრინავი ივან ნიჩაევი იქნება.

„თუ რუსეთი შეეცდება, რომ სპორტული ღონისძიება პოლიტიკურად გადააქციოს, თუ რუსეთი შეეცდება არ, ან ვერ დაინახოს ჩვენი კეთილშობილური განზრახვა, მაშინ ჩვენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს. მე ვთვლი, რომ რუსი სამხედრო მფრინავის იმ როლში გამოყვანა, რაზეც დღესაა საუბარი, ძალიან ხაზგასმული ნაბიჯი და გზავნილია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი დემოკრატიული სამყაროსთვის. სახელმწიფოები საკუთარ გმირებს თავად არჩევენ და აქ ჩვენ არავის და ვერავის ჭკუას ვერ ვასწავლით, მაგრამ ამასობაში სახელმწიფოები ასეთ დროს მეტ ყურადღებას აქცევენ კონტექსტს, თუკი მართლაც კეთლგანწყობილნი არიან და სურთ, რომ მოვლენებს ის სახელი ერქვათ, რაც მათ სინამდვილეში ჰქვიათ და უნდა ერქვათ, ამიტომ ეს არის ჩვენი პოზიცია, რომ დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით გავაგრძელებთ დაკვირვებას ამ პროცესებისადმი და თუ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ სოჭის ოლიმპიადაზე პოლიტიკა სპორტს სჭარბობს, მაშინ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოქალაქეების ღირსების შესაფერის გადაწყვეტილება მივიღებთ“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პირველი

რატომ იცვლებიან ბაჩო ახალაიას პროცესზე პროკურორები?!

ია დარჯანია: „მე მივხვდი, რომ ობიექტურ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ“

ნათია ხურცილავა

საქალაქო სასამართლოში გუშინ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი კიდევ ერთხელ გადიადო. ამჯერად პროცესის გადადების მიზეზი პროკურორის ია დარჯანიას თვითაცილება გახდა. თვითაცილების მიზეზად კი პროკურორმა, არც მეტი, არც ნაკლები, თავისი წარმომავლობა დაასახელა.

პროკურორის თვითაცილება მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ დააკმაყოფილა. როგორც ცნობილია, უკვე მესამე პროკურორის ცვლილება მოხდა აღნიშნულ საქმეზე.

როგორც ია დარჯანიამ განმარტა, იგი აფხაზეთიდანაა დევნილი, ასევე აფხაზეთიდანაა დევნილი ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი, მათ ბევრი საერთო სამეგობრო წრე ჰყავთ, რაც, პროკურორის განმარტებით, მას ხელს უშლიდა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში.



პროკურორის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებას ახალაიას ადვოკატებმა დაუსაბუთებელი უწოდეს და მტკიცებულებების წარმოდგენა მოითხოვეს. ერთ-ერთმა ადვოკატმა დავით დეკანოიძემ მოსამართლეს მიმართა, კანონის რომელი ნორმით რეგულირდებოდა მსგავსი მიზეზი, რაზეც მოსამართლემ დეკანოიძეს 59-ე მუხლზე მიუთითა.

– მე ვარ აფხაზეთიდან, ისევე, როგორც ბაჩო ახალაიას ცოლი ანი ნადარეიშვილი. ჩვენ გვყავს საერთო წრე, ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ჩემთვის ცნობილი იყო მანამდე, სანამ პროკურორად დამნიშნავდნენ. თუმცა არ არსებობდა გარემოებები, რაც მაიძულებდა ამ შუამდგომლობის დაყენებას. მას შემდეგ, რაც მე დავინიშნე პროკურორად, ჩემზე ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა ზოგიერთი ახლობლის მხრიდან როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე პირადად. ასევე მინდა ვთქვა, რომ ბაჩო ახალაიას ადვოკატები გიორგი ონიანი და რომეო საჯაია არიან ჩემი მეგობრები. ესეც ჩემთვის ფსიქოლოგიური მომენტია. მე სოციალურ ქსელში მაქვს განთავსებული სურათი, სადაც ვარ რომეო საჯაიასთან ერთად. რასაც მოჰყვა სხვადასხვა კომენტარები. ამის გამო მე მიმაჩნია, რომ ვერ ვიქნები ამ საქმის პროკურორი. ვერ ვიქნები ობიექტური და გთხოვთ ამაცილოთ ამ საქმეს, – მიმართა ია დარჯანიამ მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს.

ია დარჯანია მოსამართლემ დარბაზიდან გაათავისუფლა. სასამართლო სხდომაზე კი პროკურორი ლევან ადეიშვილი დარჩა, თუმცა ადეიშვილმა საქმის მასალების გასაცნობად გარკვეული 15 დღიანი ვადა მოითხოვა.

სხდომიდან გამოსულმა ია დარჯანიამ კი განაცხადა:

– მე დავაყენე სასამართლო სხდომაზე ჩემი აცილების შესახებ. ჩემი აცილების საკითხი დღეს აქტუალური გახდა იმიტომ, რომ სოციალური ქსელებით, პირად საუბრებშიც არაერთმა ადამიანმა გამოხატა თავისი პოზიცია პირადად ჩემ მიმართ. სიმართლე გითხრათ გადაწყვეტილების მიღებისას ეს აუცილებლად იმოქმედებდა. იმიტომ, რომ კითხვები არ გაჩნდეს, ბრალდების მხარე ობიექტური იყოს, მე ჩავთვალე საჭიროდ, რომ აცილებულ ვყოფილიყავი ამ საქმიდან. რაც შეეხება კითხვას, რომ ჭიანურდება თუ არა პროცესი, უნდა გითხრათ, რომ ნამდვილად არ ემსახურება ჩემი გადაწყვეტილება ამას. ამის დასტურია ის, რომ სასამართლო სხდომაზე მე მახლდა პროკურორი, რომელიც პირდაპირ ჩამენაცვლა და ის გააგრძელებს. ეს ჩემთვის ცნობილი იყო პროცესის დაწყების მომენტშიც, მაგრამ ჩვენ საერთო სანაცნობო წრე გვყავს, რომელთა მეშვეობით ხდება ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ზოგი მლანძღავს, ზოგი მაქებს, მეუბნებიან, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღო, ეს ხდება პირადადაც და სოციალური ქსელის მეშვეობითაც, – განაცხადა დარჯანიამ.

მისივე თქმით, მისი კოლეგები იყვნენ ბაჩო ახალაიას ადვოკატები – გოგა ონიანი და რომეო საჯაია, რომელთანაც მეგობრობა აკავშირებს.

– მე მივხვდი, რომ ობიექტურ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ, ამიტომ თვითაცილებას ვითხოვ, – განაცხადა დარჯანიამ.

ადვოკატ რომეო საჯაიას განცხადებით კი, მას პროკურორ ია დარჯანიასთან კოლეგიალური ურთიერთობა აქვს.

– ჩვენ ერთად ვიყავით ამერიკის შეერთებულ შტატებში სემინარებზე. მხოლოდ და მხოლოდ ეს არის. რაც შეეხება პროცესს, ეს ყველაფერი უკვე კომიკური ხდება. ალბათ მომავალ პროცესზე ბავშვებს მოიყვანს, რომ ამ ცირკს უყუროს. მე ყველა პროკურორს ვიცნობ პროკურატურაში და მათთან კოლეგიალური ურთიერთობა მაქვს. ეს არ არის აცილების საფუძველი, – განაცხადა რომეო საჯაიამ.

დარჯანიას მიერ დაყენებულ შუამდგომლობას თვითაცილებაზე ახალაიას ადვოკატები შეეწინააღმდეგნენ.

ახალაიას ადვოკატის დავით დეკანოიძის განცხადებით, ეს ყველაფერი მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას ისახავს მიზნად, რადგან საქმეში ახალი პროკურორი ჩაერთვება, რომელიც საქმის გაცნობას თავიდან მოითხოვს.

პროკურორის დაყენებულ შუამდგომლობას, სასამართლო პროცესზე თავად ბაჩო ახალაიამაც სასაცილო უწოდა.

მისი თქმით, რეალური თვითაცილების საფუძველი არ არსებობს და ეს მიზნად ისახავს მხოლოდ იმას, რომ არჩევნების წინა პერიოდში ეს საქმე გაწელონ.

– აფხაზეთიდან დევნილია 500 000 ადამიანი, ეგრე მამაჩემიც მუშაობდა პროკურატურაში და ბევრი სანაცნობო ჰყავს. ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვერ იტყვის, რომ ეს შუამდგომლობა რეალურია, ეს ყველაფერი მიზნად ისახავს საქმის გაჭიანურებას და ხელოვნურად გაწელვას. ახალი პროკურორი ახალ ვადას მოითხოვს, – განაცხადა ახალაიამ.

სასამართლოდან გამოსულმა ბაჩო ახალაიას მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა, პრესასთან შეფასებები გააკეთა. ნადარეიშვილმა გუშინ გამართულ პროცესს ცირკი უწოდა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ბაჩო ახალაიას მეუღლემ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა.

– პროკურორმა მესამე სხდომაზე აღმოაჩინა, რომ ჩვენ აფხაზეთიდან ვართ, სიტყვები არ მყოფნის, ცირკია ეს ყველაფერი, – განაცხადა ნადარეიშვილმა.

ახალაიას მამამ როლანდ ახალაიამ ამ ყველაფერს მარაზმი უწოდა.

ანი ნადარეიშვილი, ბაჩო ახალაიას მეუღლე:

– სასაცილოა, მესამე სხდომას ესწრება და ახლა აღმოაჩინა, რომ აფხაზეთიდან ვარ? ძალიან სასაცილოა, სიტყვები არ მყოფნის, რომ შევაფასო.

როლანდ ახალაია, ბაჩო ახალაიას მამა:

– მსგავსი რამე მე არ მინახავს, ვერაფერს ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა მსგავი რამ.

დავით დეკანოიძე, ბაჩო ახალაიას ადვოკატი:

– იმას, რაც ამ პროცესებზე ხდება, ჰქვია – პროკურატურა ხუმრობს. პროკურატურას საქმისადმი სერიოზული მიდგომა არ აქვს. ისეთი რამ, რასაც პროკურორები სხდომის გადადების მიზნით აკეთებენ, ადვოკატებს გაეკეთებინათ, ჯარიმებსაც ვერ გადაიხდიდნენ, იმდენი რაოდენობით დააჯარიმებდნენ. რატომღაც სასამართლო პროკურატურის მიმართ შემწყნარებელია. სასამართლო მთელი ამ ხნის განმავლობაში პროკურატურის ტყუილებს ისმენს და საქმის განხილვას აჭიანურებს.

პროკურორი ლევან ადეიშვილი პირობას იძლევა, რომ ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი.

საქმეში გუშინ ჩართულმა ახალმა პროკურორმა ლევან ადეიშვილმა სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, საქმის შესასწავლად, მოსამართლეს 15-დღიანი ვადა მოსთხოვა, თუმცა, სასამართლომ მას 10 დღიანი ვადა მისცა, შესაბამისად, იგი ათი დღის შემდეგ დასკვნითი სიტყვით წარდგება.

– მე დღეს შევიტყვე პროცესამდე, რომ ქალბატონ იას აცილება ჰქონდა და სწორედ მე გამოვთქვი სურვილი, რომ პროცესზე წამოვსულიყავი, რადგან არ გაჭიანურებულიყო. ბუნებრივია, აქ რომ არ ვყოფილიყავი, პროცესი გადაიდებოდა, შემდეგ სხდომაზე მე კიდევ უნდა მომეთხოვა ვადა საქმის შესასწავლად. რაც შეეხება რევაზ ნადოის, ის ბიულეტენზე იმყოფება, ავად არის. თქვენ უსმენდით მოსამართლის გადაწყვეტილებას, არავინ არ არის დაზღვეული გარკვეული შემთხვევისაგან.

პროკურორი ადეიშვილი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ პროკურორების ცვლილება საქმის ხელოვნურად გაჭიანურებას ისახავს მიზნად.

– არავინაა დაზღვეული ავადმყოფობისგან. მე თენგიზ გუნავას პროცესებიდან გახსოვართ, სადაც ბრალმდებელი გახლდით. ეს საქმე ბოლომდე იქნა მიყვანილი და პირობას გაძლევთ, რომ ამ შემთხვევაშიც ასე იქნება, – განუცხადა ჟურნალისტებს პროკურორმა ლევან ადეიშვილმა.

მალხაზ ველიჯანაშვილი, ბაჩო ახალაიას ადვოკატი:

– ჩვენ ყველანი მოწმენი გავხდით თუ რა უსუსურია ბრალდება. როგორ არ შეუძლია მთელი თვის განმავლობაში აღნიშნულ საქმეზე დასკვნითი სიტყვა წარმოსთქვას, მაშინ როდესაც მტკიცებულებები უდავოდ გახსნილია. ეს ყველაფერი მოწმობს იმაზე, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. გუშინ სასამართლო სხდომაზე რაც მოხდა, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უნდათ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ეს ადამიანი უკანონოდ ჰყავდეთ ციხეში. მათი მიზანია, რომ რამენაირად გაწელონ პროცესი, რომ ბაჩო ახალაია ციხეში დიდხანს იჯდეს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პროკურორი არ მოვიდოდა ან მოუმზადებელი მოვიდოდა, რომ პროცესი გადადებულიყო, მაგრამ ასეთ რამეს, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მოველოდი. არ მეგონა პროკურორი თვითაცილების შუამდგომლობას დააყენებდა. პროკურორმა რატომ არ წარმოადგინა მტკიცებულება? მესიჯის ამონაწერი გაეკეთებინა, სადაც ფსიქოლოგიური ზეწოლის ნიშნები იყო, რატომ არ გააკეთა ეს? მართივად რომ ვთქვათ, ეს არის მიზეზი, თუ როგორ უნდა გადადო პროცესი.

– ახალ პროკურორზე რას იტყვით, იცნობთ? მან პირობა დადო, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს...

– დიახ, ვიცნობ, ის თენგიზ გუნავას პროცესზე იყო, მაგრამ არც ნადოი, არც დარჯანია და არც ადეიშვილი არ იქნება შემდეგ პროცესზე, სავარაუდოდ, არც ერთი პროკურორი არ მოვა ან სხვა პროკურორი მოვა და ასე გაგრძელდება არჩევნებამდე.

საქმე ეხება 2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების პირველ, მეხუთე და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარ ე.წ. ციხის ბუნტს.

ბაჩო ახალაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

აღნიშნულ საქმეზე ახალაიასთან ერთად ბრალდებულები არიან რევაზ ჭარბაძე, მეგის ქარდავა და დავით ჭაკუა.

შემდეგი სასამართლო სხდომა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ 17 ოქტომბრისთვის ჩანიშნა.

დავით ზალკალიანი: „რუსეთის მხრიდან ჩვენი კეთილი ნება სათანადოდ არ არის შეფასებული“

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საკითხი იყო.

– თუ დავრწმუნდით, რომ ოლიმპიადის ზედმეტი პოლიტიზირება ხდება, ქვეყნის ღირსების დასაცავად შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ, – ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი.

საგარეო უწყება სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების შესახებ გადაწყვეტილებაზე განცხადების გაკეთებას თავის დროზე, უკიდურესად რთულად მისაღებს უწოდებს.

– ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღოს. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფონზე, ეს უკიდურესად რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს ნაბიჯი გადავდგით, ვინაიდან ვთვლით და ვთვლიდით, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ამ გზაზე აუცილებელია ურთიერთობის ისეთი სფეროების გამოკვეთა, რომელიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია და ნაკლებად უკავშირდება ძირითად პრობლემას. ასეთ სფეროებად დავინახეთ კულტურა, სპორტი, ვაჭრობა და ა.შ. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან ჩვენი კეთილი ნება, ჯერ კიდევ ან არ ან ვერ არის სათანადოდ შეფასებული და ადგილი აქვს საპირისპირო სულისკვეთების ტენდენციებს, – განაცხადა ზალკალიანმა.

მისი თქმით, ქართულ მხარეს ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებად დანახვა სურს.

– სამწუხაროდ, მეორე მხარე ცდილობს მის გამოყენებას სწორედ პოლიტიკური ნიშნებისთვის, სხვა ვერაფრით აიხსნება ეს ფაქტი. ასევე ცხადია, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან, ურთიერთობის მოწესრიგების მსურველი სახელმწიფო ასეთ ვითარებაში ასე გამომწვევად არ უნდა იქცეოდეს. ყოველივე ამის გამო, ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ერთგულებას, რომ გვსურს, ორმხრივი ურთიერთობის მოწესრიგება, მაგრამ დღეიდან ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს და თუ საბოლოოდ დარწმუნდა ჩვენი ხელისუფლება, რომ სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზირება და საქართველოს წინააღმდეგ მისი მიზანმიმართული გამოყენება ხდება, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ქვეყნის და მოქალაქეების ღირსების დასაცავად, – განაცხადა ზალკალიანმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო უწყებაში ისაუბრეს, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატს ეხებოდა.

მინისტრის განცხადებით, ქართული მხარე ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის ცვლილებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.

დავით ზალკალიანის თქმით, ჟენევის მოლაპარაკების შემდეგი რაუნდი 5-6 ნოემბერს არის დაგეგმილი.

– ბოლო რაუნდების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი გახლდათ სწორედ ის, რომ იყო მცდელობა, ფორმატი შეცვლილიყო. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ ჟენევის ფორმატის ცვლილებას. ამის შესახებ ინფორმირებული არიან თანათავმჯდომარეები. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ მომდევნო რაუნდი იმავე ფორმატში ჩაივლის, როგორც ეს ჟენევის წინა რაუნდებზე იყო განსაზღვრული, – განაცხადა ზალკალიანმა.

რაც შეეხება შემდეგ რაუნდზე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების დასწრების საკითხს, მინისტრის მოადგილის თქმით, მას არ აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ისინი შემდეგ რაუნდს არ დაესწრებიან.

საქართველო ვილნიუსის სამიტისთვის მზადების პროცესში, რამდენიმე ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა ამ ღონისძიებებს შორის გამოყო ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისიის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 10-11 ოქტომბერსაა დაგეგმილი.

– საუბარი იქნება სავიზო ლიბერალიზაციის საკითხებზე. მისია სავიზო ლიბერალიზაციის სფეროში საქართველოს პროგრესს შეაფასებს. გვსურს, რომ ეს პროგრესი ვილნიუსის სამიტზე დაფიქსირდეს, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

საგარეო უწყების მთავარი პრიორიტეტული მიმართულება ვილნიუსის სამიტია.

ვილნიუსის სამიტის მზადების პროცესში ზალკალიანმა მნიშვნელოვნად შეაფასა დღეს და ხვალ დაგეგმილი, სამართლისა და საშინაო საქმეების საბჭოს შეხვედრა, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები ესწრებიან.

აღნიშნული მინისტერიალი არის ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარის – ლიტვის ინიციატივა და ამ ფორმატში ჩატარებული რიგით პირველი შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის 28 ქვეყნის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.

მინისტერიალის ფარგლებში დაგეგმილია მართლმსაჯულებასთან, მიგრაციასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, კიბერდანაშაულთან და კორუფციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მინისტერიალის მონაწილეები შეაფასებენ მიმდინარე თანამშრომლობის შედეგებს, არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს, მიიღებენ ერთობლივ დეკლარაციას მომავალი თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

9 ოქტომბერს, ლუქსემბურგში დაგეგმილია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა, სადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და რეგიონული განვითარების მინისტრები წარადგენენ. ამ შეხვედრაზე საუბარი იქნება ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე სატრანსპორტო სისტემის გაღრმავების საკითხებზე.

კახა კუკავა: „სუბარმა ციხე სამართავად კრიმინალებს გადასცა“

მერი ნამორაძე

თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავა პარლამენტისა და მთავრობის წევრებს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ვითარებით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

გუშინ კუკავა სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სისტემაში შექმნილ ვითარებას საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა. ბოლო რამდენიმე თვეში ამ დაწესებულებებში პატიმრებს შორის ანგარიშსწორების ფაქტები მოხდა, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა და რომლის აღკვეთა, კუკავას თქმით, სასჯელაღსრულების სამინისტროს ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა. სასჯელაღსრულების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ისინი განახორციელებენ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების და მეთვალყურეების დაშვებას ციხეებში მონიტორინგის გასაწევად, თუმცა პირობა სრულად არ შეასრულეს.

კუკავამ, როგორც თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებების კომისიის თავმჯდომარემ, მიმართა სასჯელაღსრულების სამინისტროს და მოითხოვა თბილისის ტერიტორიაზე მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლის ნებართვა ვითარების შესასწავლად, რაც ამ კომისიის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. გასულ კვირას ამაზე საკრებულომ უარი მიიღო:

– სასჯელაღსრულების სამინისტრომ აუკრძალა თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებების კომისიას თბილისის ტერიტორიაზე არსებული საპატიმრო დაწესებულებების მონიტორინგი. როგორც ჩანს, გრძელდება ისევ ის პრაქტიკა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ახალაიას და კალმახელიძის მინისტრობის პერიოდში, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებში იგულისხმებოდა ხელისუფლების კმაყოფაზე მყოფი სატელიტი ორგანიზაციები. ისინი, რომლებმაც რეალური მეთვალყურეობა და ზედამხედველობა უნდა გაუწიონ ამ დარგში შექმნილ ვითარებას, კვლავინდებურად რჩებიან უფლებაშეზღუდულნი ამ დაწესებულებათა მონიტორინგის სფეროში. მე ვთხოვ ქართულ საზოგადოებას, უფლებადამცველებსაც, პოლიტიკოსებსაც, იმ ადამიანებს, ვისაც პირდაპირ ევალება სოზარ სუბარის ზედამხედველობა საქართველოს მთავრობაში და პარლამენტში, დაინტერესდნენ, რა მოტივი შეიძლება ჰქონდეს ბატონ სუბარს, აუკრძალოს თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებების კომისიას, გასწიოს მონიტორინგი მით უფრო, თუ ასეთი უფლებით სარგებლობენ არასამთავრობოები, – განუცხადა ჟურნალისტებს კუკავამ.

საპასუხო წერილი სასჯელაღსრულების სამინისტროდან კუკავას მისამართით ასეთია: „თქვენს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში არ იქნა მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეუძლებლად მიგვაჩნია თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება“.

კომისიის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ სიმართლე ასეთია – სუბარმა საკუთარი გაგებით აღადგინა სამართლიანობა ციხეებში და იგი სამართავად ძველ მფლობელებს – კრიმინალურ სამყაროს გადასცა და დღეს ციხეს თავიდან ბოლომდე კრიმინალური სამყარო აკონტროლებს. კუკავას თქმით, სუბარი ცდილობს ამის მიჩქმალვას და აქედან გამომდინარეობს მცდელობა, არ დაუშვას რეალური მეთვალყურეები.

– ის, რომ დღეს ციხეებში ცოცხებით არ აწამებენ პატიმრებს, ვერაფრით გამოდგება თავის დასამშვიდებელ გარემოებად იმიტომ, რომ კრიმინალურ ანგარიშსწორებას ციხეებში უკვე მოჰყვა მინიმუმ ორი ადამიანის მსხვერპლი და არც ერთ ამ მკვლელობაზე ციხის ადმინისტრაციას ადეკვატური რეაგირება არ ჰქონდა. გაგახსენებთ, რომ კორტავას ფაქტზე ითქვა, რომ კიბიდან დაგორდა, ვიდრე ამის შესახებ ჟურნალისტებმა არ გაავრცელეს სხვა ვერსია და ანალოგიური არაადეკვატური რეაგირება იყო ჯაყელის საქმეზე, – აღნიშნა კუკავამ.

გუშინ კუკავამ მთავრობისა და პარლამენტის წევრებს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ვითარებით დაინტერესებისკენ მოუწოდა, რადგან შემდეგ მათთვისაც ისეთივე „მოულოდნელობა“ არ აღმოჩნდეს იქ არსებული ვითარება, როგორც სააკაშვილისთვის იყო გასული წლის სექტემბრის ბოლოს გავრცელებული კადრები ვითომცდა მოულოდნელობა.

კუკავამ განაცხადა, რომ გარდა ორი გახმაურებული ფაქტისა, არაფორმალური წყაროებიდან არის სხვა ანალოგიური შემთხვევებიც. ციხეში მუშაობა რთულია და სტატისტიკით და სამინისტროდან მოსული ქაღალდებით ვერასოდეს გაიგებ რეალობას თუ პატიმარს არ დაელაპარაკე პირადად.

– პატიმრის წერილი უამრავ ფილტრს გადის და პატიმარი არასდროს არ დაწერს განცხადებას რომელიმე კომისიის და ორგანიზაციის სახელზე, რომ „მე ციხეში მაწამებენ“. მასთან აუცილებელია უშუალო კომუნიკაცია, რომელსაც ბატონი სოზარი გვიკრძალავს. მეორე მხრივ, ვიცით ის, როგორ რეაგირებს სუბარის უწყება ციხის ადმინისტრაციაში მომხდარ უმძიმეს დანაშაულებებზე. თავის დროზე, გირგვლიანის მკვლელობაზე, გახსოვთ, გურამ დონაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეს სვანური ვენდეტა იყოო. რობაქიძეზე გახსოვთ, მაშინდელმა მთავრობამ რა გაავრცელა, მაგრამ რა განცხადება გაავრცელა სოზარ სუბარმა კორტავას ფაქტზე, როდესაც პატიმარი წამებით მოკლეს, ციხის ერთ-ერთ დაწესებულებაში? რომ კორტავა ციხის ადმინისტრაციის კიბეებიდან დაგორდა, კალმახელიძის, ახალაიას და მერაბიშვილის შესაშური განცხადება იყო. ამ ფაქტზე, უბრალოდ, ოჯახმა ივაჟკაცა. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ოჯახი დუმს. რომ არ ყოფილიყო კორტავას მამიდა, რომელმაც ანგარიში არ გაუწია არანაირ კონიუნქტურას, კორტავას ფაქტზე გვეცოდინებოდა ოფიციალური სტატისტიკა გამოგზავნილი სოზარ სუბარის მიერ, რომ ეს პატიმარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა, – განაცხადა კუკავამ.

კუკავა დარწმუნებულია, რომ დღეს ციხეს უკვე კრიმინალური სამყარო აკონტროლებს და ცალკე გამოძიების საგანია, რატომ და რა ვალდებულებები ჰქონდა სუბარს ამ სამყაროს მიმართ. კუკავა თხოვნით მიმართავს საერთაშორისო ადგილობრივ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, სასწრაფოდ, ვისაც როგორ შეუძლია, ისე განახორციელოს მონიტორინგი ამ დაწესებულებებში. კუკავამ პატიმრებსაც სთხოვა, ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით ხმა მიაწვდინონ საკრებულოს შესაბამის კომისიას და მიაწოდონ ინფორმაცია ციხეებში შექმნილ მდგომარეობაზე. კომისიის მხრიდან კი კონფიდენციალობა უზრუნველყოფილი იქნება.

„კრიჭაშეკრული სააკაშვილი სარკოზის ნაჩუქარი კონიაკით მოასულიერეს“

შორენა მარსაგიშვილი

ვანო მერაბიშვილი 7 ნოემბრის აქციის დარბევის წინააღმდეგი იყო

სხვა გახმაურებულ საქმეებთან ერთად მოსახლეობა ახალ ხელისუფლებას 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის გამოძიებასაც სთხოვს. კოაბიტაციის ბურანში წასული ხელისუფლება ამ ამბის გამოძიებას რატომღაც არ ჩქარობს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამ საქმის გამოძიებას საერთოდ არ აპირებენ და საამისოდ ნამდვილად აქვთ მიზეზები.

არავისთვის დამალული არ არის, რომ იმ პერიოდში ბიძინა ივანიშვილი ნაციონალებს თანაუგრძნობდა. და როგორც ნაციონალები ამბობენ, იმ აქციის დამრბევებს პრემიები სწორედ ივანიშვილის ფულით გადაუხადეს.

მართალია თუ არა ეს ინფორმაცია, მხოლოდ ივანიშვილმა და ნაციონალებმა იციან. ნაცმოძი სავარაუდოდ ჭორებს უვრცელებს მეოცნებეთა ლიდერს. მეოცნებეები ამ საქმის გამოძიების ნაცვლად ხელს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისკენ იშვერენ. 7 ნოემბერთან დაკავშირებით მანაც ბევრ კითხვას უნდა უპასუხოს. სხვა ყველაფერთან ერთად ნინო ბურჯანაძემ იმ პოლიტიკოსების ვინაობაც უნდა დაასახელოს, რომლებიც დღისით აქციებზე ყვიროდნენ, საღამოობით კი მასთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ისინი უსაფრთხოების გარანტიებსა და გარკვეულ პრივილეგიებს ითხოვდნენ.

7 ნოემბრის დარბევაზე ყველაზე სწორი ინფორმაციები ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს აქვთ. მაგრამ საეჭვოა, მათ ეს საიდუმლო გაამხილონ. ალბათ იმის დაჯერებაც გიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ 7 ნოემბრის დილით აქციის დარბევას ვანო მერაბიშვილი ეწინააღმდეგებოდა. თუმცა არა იმიტომ, რომ დემოკრატიის მხარეს იყო. მერაბიშვილს მიაჩნდა, რომ აქცია მალე საკუთარი ნებით დაიშლებოდა.

იმ დღეებში სააკაშვილი შავნაბადის რეზიდენციაზე იყო გახიზნული. მისი დაცვა გაძლიერებული გახლდათ. 7 ნოემბრის დილას მასთან მერაბიშვილი და მისი მოადგილე ბადრი ბიწაძე მივიდნენ. იმ დღეს შავნაბადის რეზიდენციაში დიდი ამბები დატრიალდა. ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალებთან დაახლოებულმა პირმა მოუთხრო, რომლის ვინაობასაც, მისი თხოვნით, არ ვასახელებთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერაბიშვილი დილის დარბევის წინააღმდეგი იყო. ის სააკაშვილს ეუბნებოდა, რუსთაველზე სულ 20 კაცია დარჩენილი და ეგენიც მალე დაიშლებიანო.

შს მინისტრის არგუმენტი პრეზიდენტმა არად ჩააგდო და განაცხადა, აბა, სახელმწიფო რისთვის არის თუ ეს ყველაფერი არ აღკვეთაო. ამის შემდეგ მერაბიშვილმა დარბევის ოპერაცია ჩაატარა. ნიღაბაფარებულმა პირადადაც ჩაიარა დარბეულ და დაგაზულ რუსთაველზე. მერე ისევ შავნაბადაზე დაბრუნდა.

ამ დარბევამ ხალხში დიდი პროტესტი გამოიწვია. ოპოზიციამ და მოსახლეობამ რიყეზე დაიწყო შეკრება. ამ მოვლენებს „იმედი“ პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა. სააკაშვილსა და მის ამფსონებს სწორედ „იმედი“ ჰქონიათ ჩართული.

როცა ხალხმა რიყეზე ბლომად მოიყარა თავი, სააკაშვილი შეშფოთდა. მან მერაბიშვილს უყვირა, სად არის პოლიცია, რატომ არ არბევენო. მერაბიშვილმა სააკაშვილს აუხსნა, რომ პოლიციელები დაღლილები იყვნენ და ისვენებდნენ. შს მინისტრის თქმით, ყველაფერთან ერთად დამრბევები მძიმე „ეკიპიროვკის“ ტარებითაც დაიღალნენ.

იმის მაგივრად, რომ სააკაშვილი ამ ამბავს გაგებით მოჰკიდებოდა, სულ გადაირია. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ის მერაბიშვილს მივარდა და ფეხი ჩაარტყა. მხარეების წონითი კატეგორიები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და მერაბიშვილი წაიქცა. მის ასაყენებლად მისი მოადგილე ბადრი ბიწაძე მივიდა, რომელსაც ცოტა ხანში სააკაშვილის მოსულიერებაც მოუწია.

ვანოს გალახვის შემდეგ პრეზიდენტი ტელევიზორს მიუჯდა. იქ ისევ რიყის ამბებს აჩვენებდნენ. რიყეზე უამრავი ხალხი იყო. ამან ეტყობა სააკაშვილი ნერვულ პანიკაში ჩააგდო. ჩვენი წყაროს თქმით, ის წაიქცა და კრუნჩხვებში ჩავარდა. ბადრი ბიწაძე ეტყობა წინა ცხოვრებაში სასწრაფოს ექიმი იყო, მან პრეზიდენტს სასწრაფოდ აღმოუჩინა დახმარება. სააკაშვილს შეკრული კრიჭა გაუხსნეს და პირში იქვე, ბუხარზე მდგარი კონიაკი ჩაასხეს. ის კონიაკი სააკაშვილს თურმე პრეზიდენტმა სარკოზიმ აჩუქა.

შავნაბადაზე ალბათ კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რომელსაც ჩვენი წყარო აღარ ამხელს. მისი მონაყოლის გადამოწმება ბიწაძესთან ვცადეთ. ბიწაძეს ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მერაბიშვილთან ამ ინფორმაციის გადამოწმება საპატიო მიზეზით ვერ მოვახერხეთ. სააკაშვილი კი კარგა ხანია ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

პატიმრობაში მყოფი შს მინისტრი ყველა თემას ფეისბუქით ეხმაურება. იმედია ამ ამბავზეც არ დაიზარებს კომენტარის გაკეთებას. სხვა თუ არაფერი, გვეტყვის, ეწინააღმდეგებოდა თუ არა დარბევას.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ დარბევას ახალი ხელისუფლება პატიოსნად გამოიძიებს. ამბობენ, კოაბიტაციის დასრულების შემდეგ სამართლიანობის აღდგენა დაიწყებაო. 7 ნოემბრის დარბევა კი უსამართლობა და დანაშაული იყო.

ნუგზარ წიკლაური: „რუსეთის ეს ნაბიჯი ცინიკური ჟესტია“

რუსეთის მიერ სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ 2008 წლის აგვისტოს ომის „გმირი“ მფრინავის დასახელებას, საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური რუსული მხრიდან მძიმე პოლიტიკურ ნაბიჯად აფასებს.

მისი თქმით, დასახელებული მფრინავი ივან ნიჩაევი 2008 წლის აგვისტოში ქართულ ქალაქებსა და სოფლებს ბომბავდა, რომელსაც რამდენიმე ასეული საქართველოს მოქალაქე შეეწირა.

წიკლაურის შეფასებით, ამ ადამიანის მეჩიროაღდნედ დასახელება რუსეთის მიერ ცინიკური ჟესტია, როგორც ბრძოლაში დაღუპული მეომრების, ასევე, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დღემდე საკუთარ კერას არიან მოწყვეტილი.

„ამ ფონზე, საქართველოს უუნარო მთავრობა აცხადებს, რომ ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ მონაწილეობას მიიღებს თამაშებში, არამედ დაეხმარება ოკუპანტ სახელმწიფოს თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“ – აღნიშნავს წიკლაური.

იგი მიმართავს ოლიმპიურ კომიტეტს სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის მიზანშეწონილების საკითხი განიხილოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ დღეს სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველო განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდება სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს. „თუ საქართველო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ხდება სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზაცია და მისი მიზანმიმართული გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და ინტერესების დასაცავად შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს“ – აღნიშნულია მთავრობის განცხადებაში.

ნიუსპრესი

ირაკლი ღარიბაშვილი ლუქსემბურგის მინისტერიალს ესწრება

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლუქსემბურგში გაემგზავრა, სადაც ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართება. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული მინისტერიალი ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარის – ლიტვის ინიციატივა და ამ ფორმატში ჩატარებული რიგით პირველი შეხვედრაა. შეხვედრაში მონაწილეობას ევროკავშირის 28 ქვეყნის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები მიიღებენ. მინისტერიალის ფარგლებში დაგეგმილია მართლმსაჯულებასთან, მიგრაციასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, კიბერდანაშაულთან და კორუფციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მინისტერიალის მონაწილეები მიმდინარე თანამშრომლობის შედეგებს შეაფასებენ, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელებენ, ასევე მომავალი თანამშრომლობის გასაღრმავებლად ერთობლივი დეკლარაციის მიღებაა დაგეგმილი.

ნიუსპრესი

გიორგი თარგამაძე ჩაის საწარმოს ეწვია

მან ჟურნალისტებთან ერთად საწარმო დაათვალიერა და როგორც მმართველებს, ასევე იქ დასაქმებულ ადამიანებს გაესაუბრა. გიორგი თარგამაძის თქმით, საწარმო მცირე ბიზნესის მაგალითს წარმოადგენს, სადაც ოცზე მეტი ადამიანი ცენტრალურ საწარმოშია დასაქმებული, ხოლო ასზე მეტი ოჯახი ნედლეულის მოწოდებითაა დაკავებული. „საწარმო „იმედი“ ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის და ამავე დროს როგორც წინა, ასევე ახალი ხელისუფლების უგულისყურობის მაგალითს წარმოადგენს. ვნახე ათეულობით სხვადასხვა სახეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მცენარეები, რომლებიც ადამიანის თითქმის ყველა ორგანოს ფუნქციონირებას უწყობს ხელს, მათ შორის დამამშვიდებელი მცენარეებიც, თუმცა მე ვეძებ გამოსაფხიზლებელ საშუალებებს მთავრობისთვის და მზად ვარ, ჩემი ხარჯებით შევიძინო რამდენიმე ყუთი და გავუგზავნო ხელისუფლებას იმისთვის, რომ გამოფხიზლდეს, თვალი გაახილოს და დაინახოს სად არის რეალურად ადამიანების დასაქმების პერსპექტივა“, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ. მისი თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესში არის ადამიანების დასაქმების პერსპექტივა და სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს ხელისუფლების აქტიური თანადგომა, ევროკავშირის ბაზარზე პარტნიორების მოძებნა, წარმოების განვითარებისთვის და გაფართოებისთვის საჭირო კრედიტებით მეწარმეების უზრუნველყოფა სჭირდება. „ჯერჯერობით მხოლოდ გაურკვეველი დაპირებები ისმის შეღავათიან კრედიტებთან დაკავშირებით, რომელიც სამწუხაროდ, ადრესატამდე ვერ აღწევს. ამ ტიპის საწარმოების განვითარებას ორმაგი დატვირთვა აქვს, ერთის მხრივ კომერციული და მეორეს მხრივ ადგილობრივი რესურსების სწორად გამოყენების კუთხით, რამეთუ ნედლეული, რომლითაც ეს პროდუქცია მზადდება მთლიანად ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებას ეყრდნობა და რომლითაც საქართველო გამორჩეულია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ შესაძლოა, მსოფლიოშიც“, – განაცხადა თარგამაძემ.

პირველი

არჩევნების გაყალბების სქემის „ნავარო-ტკები“

მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებისა იმის შესახებ, რომ ახალმა მთავრობამ ამ ერთ წელიწადში საოცრებები მოახდინა და შეუძლებელი შეძლო, გარკვეულ სეგმენტებში მაინც იქმნება შთაბეჭდილება, რომ არაფერი არ შეცვლილა და ყველაფერი ისევ ისეთი მიმართულებით მიდის, როგორც ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ხდებოდა.

ერთადერთი, თვალშისაცემი და საგრძნობი ცვლილება გასული წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არის ის, რომ ხალხში უკანონო დაპატიმრების, სატელეფონო საუბრების მოსმენისა და აქედან გამომდინარე, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ნებისმიერ წამს შესაძლო უხეში დარღვევის შიში გაქრა, სხვა მხრივ კი, როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით ქვეყანაში ყველაფერი ისე მიდის როგორც ეს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო.

სამწუხაროდ, იგივე შეიძლება ითქვას იმ სფეროზე, რასაც საარჩევნო გარემო ჰქვია და რაც დამეთანხმებით, დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორია.

დღევანდელმა ხელისუფლებამ საკმაოდ მოკლე დროში შეძლო და აითვისა „ნაციონალური მოძრაობის“ ის ნაცადი ხერხები, რასაც ისინი როგორც წესი, წლების განმავლობაში, არჩევნების გასაყალბებლად იყენებდნენ.

რომ აღარაფერი ვთქვათ საარჩევნო კანონმდებლობაზე, რომელიც ასევე სააკაშვილის ხელისუფლების მიერ აა მიღებული, დღევანდელ წინასაარჩევნო პერიოდშიც საკმაოდ წარმატებით გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიც ე.წ. „სოციოლოგიური გამოკითხვაა.“

ეს ტერმინი ბრჭყალებში იმიტომ ჩავწერე, რომ სინამდვილეში მას რეალურ გამოკითხვასთან და საერთოდ სოციოლოგიასთან, საერთო არაფერი აქვს და უფრო მეტად, მისი შინაარსი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობისკენ იხრება.

ამ კუთხით, ბოლო წლების განმავლობაში, ქართული „კვლევის ბაზარზე“ უდავო ლიდერად ჩამოყალიბდა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი – NDI, ლუის ნავაროს ხელმძღვანელობით, რომელიც როგორც აღვნიშნეთ უკვე წლებია გამუდმებით ასწავლის ქართველ ხალხს იმის შესახებ, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოსწონს მათ, იმის მიუხედავადაც კი, რომ ზოგ შემთხვევაში, ნავაროს მიერ დასახელებულ და მოწონებულ პოლიტიკურ ძალას ხალხი სახსენებლადაც კი ვერ იტანს.

ასე იყო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს, როდესაც ბატონი ნავარო ჩაგვჩიჩინებდა, რომ თურმე ჩვენ ყველაზე მეტად „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი გვიყვარდა, მის შემდეგ კი, სრულიად საქართველოს მოსახლეობას თურმე, გიორგი თარგამაძეზე და მის „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე“ ეკეტებოდა ჭკუა.

ერის მოაზროვნე ნაწილი, ბატონი ლუის ნავაროს მიერ, წლების განმავლობაში არჩევნების გაყალბებისთვის „ნავარო-ჩენნად“ ხელშეწყობას მუდმივად აკრიტიკებდა და ნეგატიურად ხვდებოდა, თუმცა როგორც უახლესი ისტორიის მაგალითები გვიჩვენებს, ბატონ ნავაროს ეს კრიტიკა ნაკლებად აინტერესებდა, ვინაიდან ის თავის მისიას – შეეგუებინა ხალხი არჩევნების გაყალბებისთვის, ყოველთვის ფრიადზე ასრულებდა.

სწორედ ის NDI და ის ლუის ნავარო იყო, რომელმაც დაახლოებით ერთი წლის წინ კვლევის ისეთი შედეგი დადო, რომ თვით დემაგოგიაში გამოწვრთნილ მამალ „ნაციონალებსაც“ კი თვალები მორცხვად დაახრევინა, როდესაც განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის პარტიას მხარს გამოკითხულთა 65 პროცენტი უჭერსო.

ეს არის მცირე მიმოხილვა იმ საქმეებისა, რაც ბატონ ნავაროს საქართველოში უკეთებია და რა თქმა უნდა, ყველა იმ გაყალბებული არჩევნების შედეგზე, რომელიც მისი ხელშეწყობით ჩატარებულა, პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩევნების გაყალბებისათვის სამზადისის პრაქტიკა ასევე წარმატებით გააგრძელა ახალმა ხელისუფლებამ და მას არც ბატონ ნავაროსთან და მის ინსტიტუტთან მეგობრობაზე უთქვამს უარი.

სხვათა შორის დახლოებით ექვსი თვის წინ, ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებმა ერთ-ერთმა „მამალმა ნაციონალმა“ პირად საუბარში საკმაოდ გულდაწყვეტილი სახით და ტონით მითხრა, რომ NDI ოცნებამ იყიდაო.

ეს ინფორმაცია, როგორი სანდო და ინფორმირებული წყაროსგანაც არ უნდა ყოფილიყო თქმული, მაინც დაუჯერებლად მეჩვენა, რადგან იმ პერიოდში „ქართული ოცნება“ პოპულარობის მწვერვალზე იდგა და მის მიმართ ნდობაც განუსაზღვრელი იყო.

გარდა ამისა, მაშინ ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ახალი ხელისუფლება, „ნაციონალური მოძრაობისგან“ გატკეპნილ გზას ასე განუხრელად დაადგებოდა და ბატონი ნავაროს სამსახურზე უარს არც ის იტყოდა.

დღევანდელი გადასახედიდან კი, სამწუხაროდ, უკვე, არსებობის უფლება ყველა ვერსიას აქვს, მათ შორის ჩემი „ნაციონალი“ ნაცნობის ინფორმაციასაც იმის შესახებ, რომ NDI კოალიციამ იყიდა.

ამის თქმის საფუძველს კი, აღნიშნული ორგანიზაციის ბოლო კვლევის შედეგები გვაძლევს, რომელიც ბატონმა ნავარომ სულ ცოტა ხნის წინ წარმოგვიდგინა და რომელიც თავისი „სითავხედით“ შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ წარმოებულ იმ კვლევის შედეგებსაც კი აღემატება, რომლის თანახმადაც გიორგი თარგამაძე ხალხისთვის ყველაზე საყვარელი ოპოზიციონერი ყოფილა.

NDI-ს ბოლო კვლევაში მხოლოდ სახელები შეიცვალა, ხოლო ის, რომ მისი შედეგები საზოგადოების შეხედულებებისგან დიამეტრალურად განსხვავდება, კვლავ უცვლელი დარჩა.

საზოგადოებას ახსოვს, რომ ბატონი ნავაროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის ზაფხულის მიწურულს ჩატარებული კვლევით, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის პირველ ადგილზე გიორგი მარგველაშვილი, მეორე ადგილზე დავით ბაქრაძე, ხოლო მესამეზე ნინო ბურჯანაძე გავიდნენ.

ის, რომ სახელისუფლებო კოალიციის კანდიდატი პირველ ადგილზეა, შეიძლება საკამათო არც იყოს, ვინაიდან გიორგი მარგველაშვილი პირადად პრემიერმა წარადგინა, პირადად პრემიერი უკეთებს მას რეკლამას თავის ყოველ გამოსვლაში და მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ამ პიროვნებას თითქმის არ იცნობდა, დღეს გამოკითხვის პირველ ადგილზე ნამდვილად შეიძლება იყოს, თუმცა ასევე შესაძლებელია რომ პროცენტულმა მაჩვენებელმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს.

აი რაც შეეხება NDI-ს კვლევების მეორეადგილოსან დავით ბაქრაძეს, შეიძლება ითქვას, რომ ბატონ ნავაროს ამ შემთხვევაში აშკარად მეტისმეტი მოუვიდა.

ზოგადად საინტერესოა რა კატეგორიის ადამიანებში ატარებს ბატონი ნავაროს კანტორა კვლევებს, ვინაიდან მის მიერ წლების განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით გამოკითხული ათიათასობით ადამიანისგან ჩემს სანაცნობო წრეში არავინ არ აღმოჩნდა და არც ისეთი ადამიანი მინახავს, რომელიც იმ პიროვნებას დამისახელებდა, ვინც NDI-მ ოდესმე გამოკითხა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს, საქართველოში გარკვეული სექტისმაგვარი დაჯგუფება ჰყავს, რომლებთანაც ის გამოკითხვებს ატარებს.

საერთოდ კი, თუ კანონმდებლობით, ეს ინფორმაცია საჯაროა, დაინტერესებულმა მხარემ თუ პოლიტიკურმა ძალამ აუცილებლად უნდა გამოითხოვოს იმ პირთა ვინაობის შესახებ ინფორმაცია, ვინც აღნიშნულ კვლევებში მიიღო მონაწილეობა.

„ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, რომელსაც წინასაარჩევნო შეხვედრებზე ქვეყნის რეგიონებში რამდენიმე მოხუცი და თინეიჯერობის ასაკს მიუღწეველი სკოლის მოსწავლეები ხვდებიან, არ შეიძლება მხარს გამოკითხულთა ის რაოდენობა უჭერდეს, რა რაოდენობაც ბატონმა ნავარომ გვამცნო და რომლის თანახმადაც, დავით ბაქრაძე თურმე საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის პოპულარობით მეორე ადგილზეა.

დავით ბაქრაძე მეორე ადგილზე თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ იქნება, რომ სრულიად საქართველოს კარგად ახსოვს მისი პოლიტიკური ძალის მიერ ქვეყნის 9-წლიანი ნგრევისა და ძალადობის პოლიტიკა, ძალიან კარგად ახსოვს ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდები, ძალიან კარგად ახსოვს ბაქრაძისა და მისი ხელისუფლების სისხლიანი ანგარიშსწორების ფაქტები საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ და ძალიან კარგად ახსოვს ეროვნულობაზე და სულიერებაზე მიტანილი ის უდიდესი იერიში, რომელსაც ქართველმა ხალხმა საბედნიეროდ, თავისი მტკიცე სულისა და ათეულობით საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ჯანსაღი კონსერვატიული ბუნების გამო – გაუძლო.

დღეს კი, დავით ბაქრაძის ძირითადი გზავნილი საზოგადოების წინაშე, – ეს საკუთარ შეცდომებზე სწავლის დასპირება და იმის პირობაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იმ საშინელებებს, რასაც თითქმის 10 წლის განმავლობაში სჩადიოდა, აღარასოდეს ჩაიდენს.

ამ გზავნილის შინაარსში ჩაღრმავება და მისი გაშლა ვფიქრობთ არც ღირს, ვინაიდან ამ ყველაფერს ადამიანურ ენაზე უსინდისობა ეწოდება, მაგრამ ნამდვილად აღსანიშნავია, რომ ხალხს ეს ზღაპრები უკვე მოსმენილი აქვს და აღარც ამის აღარ სჯერა.

სრულიად საქართველოს, „ნაციონალური მოძრაობისგან“ და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილისგან, საკუთარ შეცდომებზე სწავლისა და საკუთარი შეცდომების მონანიების შესახებ განცხადებები უკვე რამდენჯერმე მოისმინა, მაგრამ როგორც მალევე დარწმუნდა, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ისინი უარესი ზეწოლისა და წნეხის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ყველას ახსოვს მიხეილ სააკაშვილი, როდესაც წინასაარჩევნოდ აცხადებდა, რომ 7 ნოემბერს იმ ხელკეტებისგან გამოწვეულ ტკივილს, რომელიც თქვენ გხვდებოდათ მეც ვგრძნობდიო, მაგრამ ამის შემდეგ არჩევნებში „ნავარო-ჩენნად გამარჯვებიდან“ მოკლე ხანში, მან საკუთარი ხალხის მიმართ სადამსჯელო ოპერაციის წარმოების ტექნოლოგია ისე დახვეწა, რომ უკვე 2011 წლის 26 მაისს, ალყაში მოქცეული უიარაღო და მშვიდობიანი ადამიანები დახოცა, ხოლო მათი გვამები მაღაზიების თავზე შემოაწყო.

ასე, რომ ასპიტისგან მტრედის შობის შესაძლებლობა ქართველ ხალხს უკვე კარგა ხანია აღარ სჯერა და ესეცაა ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ NDI-ს კვლევები ზუსტად ისე დგას ახლოს რეალობასთან, როგორც მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიასთან.

როგორც აღვნიშნეთ, იმაში, რომ გიორგი მარგველაშვილი კვლევის შედეგებით პირველ ადგილზე იყოს, მოულოდნელი ნამდვილად არაფერია, თუმცა შეიძლება პროცენტებში გამოსახული მისი პოპულარობის მაჩვენებელი საკამათო იყოს.

ასევე ნამდვილად საკამათოა პრეზიდენტობის მესამე კანდიდატის – ნინო ბურჯანაძის რეიტინგის მაჩვენებელი, მაშინ როდესაც, ერთი შეხედვითაც კი, წინასაარჩევნო შეხვედრების დროს ხალხის რაოდენობის მაჩვენებლის მიხედვით, მისი პოპულარობა NDI-ს მინიმუმ მეორეადგილოსნის პოპულარობას რამდენჯერმე აღემატება.

შეხვედრებზე საზოგადოების დასწრების ვიზუალური მაჩვენებლით, ნინო ბურჯანაძე არც პირველადგილოსან გიორგი მარგველაშვილს ჩამორჩება, ხოლო იმ ფაქტს, რომ მისი რეიტინგი მართლაც რომ უსწრაფესი ტემპით იზრდება, ექსპერტები და პოლიტოლოგებიც აღიარებენ.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი ისაა, რომ თუ ჯერ კიდევ გასულ წელს, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სუბიექტები ბატონი ნავაროს კვლევებს უნდობლობას უცხადებდნენ და მას მიხეილ სააკაშვილისთვის არჩევნების შედეგების „გამპრავებელ“ ორგანიზაციად მოიხსენიებდნენ, დღეს ამავე ორგანიზაციის კვლევის მაჩვენებლებს აპლოდისმენტებით ხვდებიან და აცხადებენ, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

სწორედ ამიტომ აქვს საფუძველი ჩემ მიერ ზემოთ ორჯერ ნახსენები „ნაციონალისა და იმპერატორტან დაახლოებული“ პიროვნების მიერ გულისწყვეტით ნათქვამი ფრაზის – „NDI ოცნებამ იყიდაო“, – არსებობას.

უფრო მეტიც, თუ ადრე მიხეილ სააკაშვილი არჩევნების გასაყალბებლად და საზოგადოების შესაგუებლად მხოლოდ ერთი კვლევის შედეგებს იყენებდა, ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, მაჩვენებლების გასამყარებლად მხოლოდ ერთ კვლევას აღარ სჯერდება და რამდენიმე „გამოკითხვას“ ატარებს.

ერთ-ერთი მათგანი იყო „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერისა და პრემიერ-მინისტრის მრჩველის მიერ, „ქართული ოცნების“ დაკვეთითვე ჩატარებული კვლევა, რომელმაც პრაქტიკულად იგივე შედეგი გაიმეორა, რაც ლუის ნავაროს კვლევებმა აჩვენა.

სხვა თუ არაფერი, ეჭვის საფუძვლად მხოლოდ ის კმარა, რომ ზურაბ ბიგვავა, რომელმაც აღნიშნული კვლევის შედეგები გვამცნო, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის აქტიური მხარდამჭერი და დამცველია და ასეთი პიროვნება, იმავე „ქართული ოცნების“ დაკვეთით საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ კვლევას ატარებს. რა თქმა უნდა შემდეგ ძნელი გამოსაცნობი არ იყო და არც მოულოდნელი მომხდარა რამე.

ამ ფონზე ნამდვილად საინტერესო და საყურადღებოა „NDI-ს მესამეადგილოსნის“ ნინო ბურჯანაძის ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთიანი კვლევის ცენტრი შეიქმნას, რომელიც ქართული იქნება და რომელსაც ექნება ისეთი დამცავი მექანიზმები, რომ მის ობიექტურობაში ეჭვი ვერავინ შეიტანოს.

ნაკლებადსავარაუდოა, რომ ეს კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოხერხდეს, მაგრამ თუ ეს თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მოხერხდება, ქართული დემოკრატიის განვითარების კუთხით, მართლაც რომ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის მიერ ჩატარებული კვლევის სისწორეშიც ეჭვს არავინ შეიტანს, არჩევნების გაყალბების შანსებსაც მნიშვნელოვნად შეამცირებს და მოჯადოებული წრიდან საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამოყვანასაც შეუწყობს ხელს.

საგულისხმო და მხარდასაჭერია აგრეთვე პრეზიდენტობის კანდიდატის მეორე ინიციატივა, პასუხისმგებლობის გამკაცრების შესახებ ყველა იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეიძლება, რომ არჩევნების გაყალბებას უკავშირდებოდეს.

ვფიქრობთ ნამდვილად სასურველი იქნებოდა, რომ თუნდაც ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ახალ რეგულაციებს მიიღებს, რადგან, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ ცესკო-ში ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის ხელდასმული კადრები რჩებიან, არჩევნების გაყალბების საფრთხე მუდმივად არსებობს.

აღნიშნული ინიციატივა სავარაუდოდ პრემიერ-მინისტრის მიერაც უნდა იყოს მოწონებული, ვინაიდან ის, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე, არჩევნების გაყალბებას უმძიმეს დანაშაულად აფასებდა და ამ ქმედებას ფულის გაყალბების დანაშაულს უთანაბრებდა.

მართალია მომავალი პრემიერის მაშინდელი განცხადებების მიუხედავად, არჩევნების გაყალბებისთვის ჯერჯერობით ქვეყანაში არავინ დასჯილა, მაგრამ იქნებ ახალმა საკანონმდებლო რეგულაციებმა მაინც დაუკარგოს ზოგიერთებს ამ მართლაცდა მძიმე კრიმინალის ჩადენის სურვილი.

ალექსანდრე კაპანაძე
სააგენტო „ნიუსპრესი“

შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე გამოვლენილი და მხილებულია – სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თბილისის მომსახურების ცენტრის უფროსი, 1982 წელს

დაბადებული ზურაბ მექვაბიშვილი, ხოლო ქრთამის მოთხოვნისა და აღებაში დახმარების ფაქტზე მხილებულია 1967 წელს დაბადებული მოქალაქე მალხაზ ბ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ზურაბ მექვაბიშვილი თანამდებობრივი უფლებამოსილების და საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქალაქის შუამავლობითა და დახმარებით, კორუფციულ გარიგებაში შედიოდა პირებთან, რომლებსაც თბილისში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი ქონების შეძენა სურდათ. კერძოდ, დაკავებულებმა დაინტერესებულ პირს, უცხოელ მოქალაქეს აღუთქვეს, რომ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №7-ში მდებარე სახელწიფოს კუთვნილ 2300 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 1400 კვ.მ შენობა-ნაგებობას, მისთვის სასურველ ფასად – 800 000 აშშ დოლარად მიჰყიდდნენ, სანაცვლოდ კი ქრთამის სახით გასაყიდი უძრავი ქონების ღირებულების 10% ანუ 80 000 აშშ დოლარი მოითხოვეს. 2013 წლის 7 ოქტომბერს ზურაბ მექვაბიშვილმა და მისმა თანამზრახველმა ქრთამის სახით აიღეს მოთხოვნილი თანხის (80 000 აშშ დოლარის) ნაწილი – 10 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამჟამად ხსენებული კორუფციული სქემა გახსნილია და ორივე ეჭვმიტანილი დაკავებულია. გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო, სისხლის სამართლის ოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით აწარმოებს, რაც სასჯელის სახით, 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

კახა კალაშოვის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა გუშინ თემქის დასახლებაში კახა კალაშვილის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ კახა კალაშვილს თემქის დასახლებაში სიტყვიერი შელაპარაკება. რამდენიმე პირთან მოუვიდა, რაც ფიზიკურ კონფლიქტში გადაიზარდა. აღნიშნულ ფაქტზე ადგილზე საპატრულო პოლიცია და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლები გამოცხადდნენ.

საქმესთან დაკავშირებით უკვე დაკითხულია კახა კალაშვილი. დადგენილია ინციდენტში მონაწილე სამი პირი,რომლებიც ასევე დაიკითხნენ. გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 120-ე მუხლით). „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, კახა კალაშვილი პარტიის ერთ-ერთ აქტივისტია. „ნაცმოძრაობამ“ კალაშვილზე თავდასხმაში შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავი და „ქართული ოცნების“ წევრები დაადანაშაულა.

მედიანიუსი

რას აპირებენ რუსულ ორბიტაზე მყოფი ძალები

თამარ ნინიძე

პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი პოლიტოლოგებს და მედიის წარმომადგენლებს ჭკუას ასწავლის, როგორ და რა დოზით უნდა აკრიტიკონ ხელისუფლება, ამასობაში კი საქართველოში პრორუსული ძალების შემოსევაა, მთავრობა და ძალოვანი უწყებები მდუმარედ ხვდებიან თბილისში ევრაზიული კავშირის მომხრეთა აქტიურობას.

ლევან პირველი თბილისში რომ დაბრუნებულიყო, მას ამაში იუსტიციის მინისტრი წულუკიანი დაეხმარა, ჩამოვიდა და მრეწველების ახალგაზრდულ ფრთას ჩაუდგა სათავეში. ლევან პირველი ზუსტად იმ გარემოცვაშია, რომელშიც ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს. მრეწველები „ქართული ოცნების“ კოალიციაში თავს შესანიშნავად გრძნობენ და ლევან პირველს თუ დავუჯერებთ, კოალიციიდან სხვა სუბიექტების გასვლა უფრო შესაძლებელია, ვიდრე მრეწველების. საქართველო კი იმ პოლიტიკურ სივრცეში უნდა რომ იხილოს, რომელიც ქვეყანას გამოადგება. ახლა პირველი ამ პოლიტიკურ სივრცეს არ აკონკრეტებს, მაგრამ სავარაუდოდ, მისი კავშირებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოდ, რომ ეს ევრაზიული სივრცეა. პირველი ებრალიძესთან და რუსეთში მოღვაწე სხვა ბიზნეს წრეებთან ურთიერთობს, ებრალიძის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ მასშტაბურ ღონისძიებაზე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მრეწველების ერთ-ერთი ლიდერი ტყემალაძეც იმყოფებოდა, პირველი თბილისში ვერ ჩამოვიდოდა საპაკაშვილის ხელისუფლების პირობებში.

თბილისში პოლიტიკური მოღვაწეობის გააქტიურებას ცდილობს თემურ ხაჩიშვილიც. რამდენიმე წლის წინ, ვიდრე ნაცმოძრაობა ფესვებს მყარად გაიდგამდა, ხაჩიშვილმა ორგანიზაცია „დათვი“ დააარსა და რუსულ ორბიტაზე მოძრაობის შესახებ ინფორმაცია პრესკონფერენციაზე გაახმოვანა. თუმცა მალე მას საქართველოდან გაქცევა მოუწია იმის გამო, რომ საპაკაშვილის ხელისუფლებამ რუსული ორიენტაციის სუბიექტებზე ნადირობა დაიწყო. თემურ ხაჩიშვილი იგორ გიორგაძის მოადგილე და მხედრიონელების მეგობარი იყო, ხაჩიშვილი გია ჭანტურიას მკვლელობის ბრალდებით გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს, შეწყალების შემდეგ ხაჩიშვილი საქართველოდან წასული იყო და მორიგი ვიზიტის დროს გამოაცხადა, რომ პოლიტიკურ აქტიურობას იწყებდა. ამ დროს მოუსწრო საპაკაშვილის ხელისუფლებამ და იძულებული გახდა ისევ მოსკოვისთვის შეეფარებინა თავი. ახლა ის ისევ თბილისშია და უხვად არიგებს დაპირებებს, ხაჩიშვილიც და ხაბურძანიაც საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადება ხაბურძანიამ რამდენიმე თვის წინ გააკეთა, ახლა კი ამბობს, რომ გეგმები შეეცვალა და ამჟამად საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. ხაჩიშვილი ქართველ პენსიონერებს სამასი დოლარის ეკვივალენტის პენსიას ჰპირდება თუ საქართველო ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდება. ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებულ ქართველებს ორმაგ მოქალაქეობასაც ჰპირდება, აფხაზები და ოსებიც ისარგებლებენ ორმაგი მოქალაქეობით, ქართველები კი თავისუფლად ივლიან აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დასასვენებლად და კომერციული საქმიანობისთვის. ქართველებმა კი უნდა გადაწყვიტონ, ევრაზიულ კავშირში ყოფნის პირობებში საქართველო კონფედერაციული იქნება თუ ფედერაციული. ხაჩიშვილი ასევე გვპირდება, რომ ქართველები, ოსები და აფხაზები ძმურად იცხოვრებენ ერთიან საქართველოში დიდ რუსეთთან ერთად.

ივანიშვილის ხელისუფლება უცნაურად იქცევა, არ რეაგირებს პრორუსული ძალების შემოსევაზე, ამავე დროს აცხადებს, რომ ევროინტეგრაციის მომხრეა. სახიფათოა თუ არა რუსული ძალების თავისუფალი გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე, ამაზე შსს პოზიციას არ აფიქსირებს, მაგრამ თუ უახლეს ისტორიას გავითვალისწინებთ, რუსულ ძალებს ვითარების სერიოზული დაძაბვის შესაძლებლობა აქვთ და ეს რისკი არ უნდა გამოვრიცხოთ. როგორც ჩანს, პუტინის ადმინისტრაცია ივანიშვილისგან ეფექტურ ქმედებებს ელოდება, ისეთ ნაბიჯებს, რომელიც მას მოეწონება, სხვა შემთხვევაში რუსულ ორბიტაზე მოძრავი ძალები ხელისუფლების სათავეში მოსვლის დიდი ხნის წინ დასახულ გეგმას სისრულეში უპრობლემოდ მოიყვანენ.

129-ე სკოლაში აფხაზეთში დაღუპული მეომრები გაიხსენეს

მერი ნამორაძე



აფხაზეთში დაბრუნების რწმენა და იმედი მანამდე არ განელდება, ვიდრე ახალი თაობა აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებს გაიხსენებს, მათ ხსოვნას პატივს მიაგებს, მათ მშობლებსა და ოჯახებს მოეფერება. 129-ე საჯარო სკოლამ ამავე სკოლის კურსდამთავრებული, აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ბესიკ ექიზაშვილი გაიხსენა სხვა გმირებთან ერთად და სტუმრად აფხაზეთის მთავრობის წევრები და შვილმკვდარი დედები მიიწვია. სკოლის მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს მაყურებელს საქართველოს ტრაგედია. მოსწავლეთა მიერ წაკითხულ ემოციურ, პატრიოტულ ლექსებს, საბრძოლო ჟინით შემართულ ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს ეკრანზე კონფლიქტის გაღვივების ამსახველი დოკუმენტური, მძიმე სურათები ცვლიდა. მოზარდებმა საზოგადოებას შეახსენეს, როგორ ძლიერდებოდა სეპარატისტული მოძრაობა, როგორ მოხდა ჟიული შარტავას დატყვევება, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობის აღება, 250 ათასი ადამიანის გამოდევნა. . .

სკოლის დირექტორმა, სოფიო დავითაიამ „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა: „ეს ტკივილი განახლდა ჩემთვის, როცა გავიგე, რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული უგზო-უკვლოდ დაკარგულა აფხაზეთის ომში. მისი დედის ტკივილი ჩემთვის უცხო არ არის. მე თვითონ სოხუმიდან ვარ. თან მამა მყავს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული. მამაჩემი ქალაქ სოხუმის კულტურისა და დასვენების პარკების დირექტორი იყო. ბოლო დღემდე იბრძოდა. ჩვენ გამოგვაცილა, თვითონ კი ისევ უკან მიბრუნდა. მას შემდეგ მასზე არაფერი ვიცით. გავიზიარეთ ამ ქალბატონის გულისტკივილი, მთელი კოლექტივი ამომიდგა გვერდით და მოვამზადეთ ეს არაჩვეულებრივი ღონისძიება“.

ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მოსწავლეებს ქართული სუფრის ტრადიცია შეახსენა, სადაც ყოველთვის მიირომეევენ სამშობლოს სიყვარულის სადღეგრძელოს, მაგრამ ყველაზე დიდი სამშობლოს სიყვარული ისაა, როცა დედა შვილს სამშობლოსათვის ომში, სასაკლაოზე გაუშვებს:

– სამშობლოს სიყვარული ოჯახში იბადება, სკოლაში მწიფდება... ამისთანა სიმართლეს ვერ გაიგებთ დიპლომატიურ წრეებში. მადლობა სკოლას! – უთხრა მოსწავლეებს გვაზავამ.

დიმა ჯაიანი, აფხაზეთის განათლების მინისტრი:

– ვამაყობ, რომ ასეთი სკოლა არსებობს, ვამაყობ მათი პედაგოგებით. იმდენად გულწრფელი იყო ეს ყველაფერი, აფერუმ თქვენს ბავშვობას, აფერუმ თქვენს კაცობას, ვინც ამ სკოლაში მოღვაწეობთ. სიკეთით გევლოთ ამ ქვეყანაზე!

პოლიციამ რესტორან „ნიკალა“-ში მომხდარი ინციდენტის მონაწილე დააკავა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა რესტორან „ნიკალა“-ში მომხდარი ინციდენტისას გამოვლენილი პირი – 1956 წელს დაბადებული იოსებ ჯავაშვილი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულმა მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს, სიღნაღში, რესტორანში საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვია და რესტორნის მფლობელს ლია ბოსტოღანაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შსს-ს დაცვის პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა სიტუაცია ადგილზევე განმუხტა.

შსს აცხადებს, რომ მომხდართან დაკავშირებით რესტორნის მეპატრონეს პოლიციისთვის არ მიუმართავს. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველებმა იოსებ ჯავაშვილის ქმედებაზე რეაგირება მოახდინეს და ჩატარებული ღონისძიების შედეგად ის წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დააკავეს.

მედიანიუსი

ცისკარიშვილმა ბურჯანაძეს წინასაარჩევნო პროგრამა მოუწონა

„მოგეხსენებათ, მეხოტბე ექსპერტთა რიცხვს არ ვეკუთვნი, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეს პრეზიდენტობის კანდიდატისგან ძალიან დამაჯერებელი და ყოვლისმომცველი მოხსენება მოვისმინეთ. იმდენად ფართოა სპექტრი წარმოდგენილი პრობლემებისა, რომ ვფიქრობ ასეთი დოკუმენტი მომავალ პრემიერ-მინისტრს სამაგიდო წიგნად გამოადგებოდა“ – ეს განცხადება ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა გუშინ, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში,“ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამის წარდგენის შემდეგ გააკეთა.

ექსპერტის თქმითვე, თუ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა არ იქნება, ბევრი საინტერესო ინიციატივა შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს.

„თუმცა ქალბატონ ნინოს ის უპირატესობა აქვს, რომ მას თამამად შეუძლია კრიტიკული აზროვნების მარგალიტები შესთავაზოს საზოგადოებას, ხოლო სახელისუფლებო კანდიდატი რაიმე თვითკრიტიკით არ გამოირჩევა და შესაძლოა, ამის გამო, ის ამომრჩევლისთვის ნაკლებად გასაგები იყოს.“– განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა.

ნიუსპრესი

9 თვის მონაცემებით დანაშაულმა 5589 ერთეულით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 37,2 %-ით მოიმატა

შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 9 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. მონაცემები ქვეყნის მასშტაბით კრიმინოგენულ მდგომარეობას ასახავს. მონაცემების თანახმად, 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 5589 ერთეულით იკლო, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 37,2%-ით მოიმატა და ის 57,2%-ს შეადგენს.

შსს აქვეყნებს ასევე სექტემბრის თვის დანაშაულის სტატისტიკასაც, როგორც

ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონების მიხედვით. მონაცემების თანახმად, 2013 წელს, სექტემბრის თვეში ქვეყნის მასშტაბით, დანაშაულის კლება 644 ერთეულით ფიქსირდება, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი %8,4%-ს შეადგენს და 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 55,5%-ითაა გაზრდილი. კონკრეტულად კი, 2013 წლის 9 თვის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 21619 დანაშაული მოხდა, საიდანაც 12 372 გახსნილია, გახსნის მაჩვენებელი კი 57,2%-ს შეადგენს. 2012 წლის ამავე პერიოდში კი, 27208 დანასაული იყო მომხდარი, საიდანაც 5435 გახსნილია, გახსნის მაჩვენებელი კი 20%-ს შეადგენდა. რაც შეეხება მიმდინარე წლის სექტემბრის თვის მონაცემებს, ქვეყნის მასშტაბით, სექტემბრის თვეში 2630 დანასაული დაფიქსირდა, საიდანაც 1703 გაიხსნა, გახსნის მაჩვენებელმა კი 64,8% შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ საანალიზო პერიოდში, 3274 დანაშაული იყო მომხდარი, საიდანაც მხოლოდ 304 გაიხსნა, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 9,3% შეადგინა.

ნიუსპრესი

ხათუნა ლაგაზიძე: „ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამას გამჭოლ ხაზად სამართლიანობის აღდგენა გასდევს“

პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძის განცხადებით, რომელიც მან გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში,“ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამის წარდგენის შემდეგ გააკეთა, – რაც ზოგადად წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ყველა წინამორბედისაგან გამოარჩევს, ეს აგრესიის არქონაა და წლევანდელი წინასაარჩევნო კამპანია გაცილებით კეთილგანწყობილი და გაცილებით კვალიფიციურია ვიდრე ყველა სხვა.

ექსპერტის მოსაზრებით, ამ თვალსაზრისით ნინო ბურჯანაძის საარჩევნო კამპანია გამოირჩევა, რომელსაც იშვიათად კვალიფიციური პიარი აქვს.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ თავად საარჩევნო კამპანია ნინო ბურჯანაძისა, ძალიან საინტერესოდ და კვალიფიციურადაა დაგეგმილი. რაც შეეხება უშუალოდ დღევანდელ დღეს და პროგრამას, მას გამჭოლ ხაზად სამართლიანობის აღდგენა გასდევს და ეს ის ძირითადი თემაა, რომლითაც ნინო ბურჯანაძე საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობს.

თავად პროგრამა კი ძალიან მრავალასპექტიანი და საკმაოდ მოცულობითი იყო. გარდა სამართლიანობის აღდგენისა, გამოვყოფდი რამდენიმე საინტერესო თემას, მათ შორის ეკონომიკის პრიორიტეტებს, მომსახურების ეკონომიკასა და ზოგადად განათლების პრობლემას, რომელიც ქართული საზოგადოების ყველა პრობლემის სათავეა. ასევე საინტერესო იყო საგარეო პოლიტიკური კუთხით წარმოდგენილი ახლებური ხედვაც“– განაცხადა ექსპერტმა ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამის პრეზენტაციის შემდეგ.

ნიუსპრესი

ეკა ბესელია: „გიორგი მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტი იქნება“

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ეკა ბესელიამ ფოთში კოალიცია „ქართული ოცნების“ გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნოდ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

ბესელია დარწმუნებულია, რომ როგორც შარშან, ასევე 27 ოქტომბერს ფოთელები კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის სასარგებლოდ ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ.

„ფოთი იყო განსაკუთრებული თავისი შედეგებით საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც ფოთმა, ძალიან დამაჯერებლად აჩვენა, რომ უარი თქვა ძალადობრივ რეჟიმზე და ჩვენ დავიწყეთ მართლაც ახალი ეტაპი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ არჩევნებზეც გიორგი მარგველაშვილი ფოთელების რჩეული იქნება. ის იქნება ყველას პრეზიდენტი, არამარტო ფოთი სამეგრელოს, მთელი საქართველოს გამაერთიანებელი. ეს შეხვედრა ძალიან თბილი, ემოციური იყო. ძალიან საინტერესო გზავნილები მოისმინა ჩვენმა მოსახლეობამ შემდგომ პერსპექტივაზე ქვეყნის მთლიანად და მათ შორის ფოთის, როგორც განსაკუთრებული როლისა და ფუნქციის მატარებელმა ქალაქმა. იმედიანად ვუყურებთ მომავალს. ჩვენ ბევრი რამ მოვასწარით ამ ერთ წელიწადში, თუმცა კიდევ ბევრ რამეს გავაკეთებთ შემდეგ ეტაპზე, როდესაც ეს ორხელისუფლებიანობა დასრულდება და ამ არჩევნებშიც მე დარწმუნებული ვარ, რომ ფოთი თავის არჩევანს ძალიან ღირსეულად გააკეთებს“, – განაცხადა ბესელიამ.

პირველი

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოში უპრეცედენტო ამნისტიის ფონზე, კრიმინალი ნაკლებია“

ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატა გიორგი მარგველაშვილმა ფოთში წინასაარჩევნოდ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

„საქართველოში უპრეცენდენტო ამნისტიის ფონზე, კრიმინალი ნაკლებია, ანუ ნაკლებია დანაშაულების რაოდენობა სტატისტიკურად წინა წელთან შედარებით და მეტი არის გახსნა. ეს გვაჩვენებს უაღესად საინტერესო მიმართულებას. პირველ რიგში, ჩვენ ვხედავთ, რომ რადგან 57%-ია გახსნის, მაშინ, როდესაც შარშან იყო 20%, ჯერ გვაჩვენებს რამდენად ეფექტურია შინაგან საქმეთა სამინისტრო, მაგრამ აქცენტი გასაკეთებელია იმაზეც, რომ ამ ამნისტიის ფონზეც კი კრიმინალის რაოდენობა კლებულობს იმიტომ, რომ ქართველები, ჩვენ უაღრესად კანონმორჩილი ერი ვართ, უბრალოდ ჩვენ უნდა გვესმოდეს კანონი და პატივს უნდა ვცემდეთ მას და უნდა გვჯეროდეს, რომ ეს კანონი სამართლიანია. ამ ახალ გარემოში ბევრად ნაკლებია დანაშაული“, – განაცხადა მარველაშვილმა.

მისი თქმით, აბაშაში მოსახლეობასთან ძალიან თბილი შეხვედრა შედგა და ეს ბუნებრივია, რადგან იქ კონსტანტინე გამსახურდიას სამშობლოა და განსაკუთრებულობა თავის მხრივ აქედან გამომდინარეც იგრძნობა.

პირველი

დათა თავაძე პრემიერისთვის ემზადება

ეკა ირემაშვილი

მსახიობი და რეჟისორი დათა თავაძე პრემიერისთვის ემზადება, თუმცა არა მშობლიურ სამეფო უბნის თეატრში, არამედ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში. აქტიური რეპეტიციები რეჟისორმა და მსახიობებმა კარგა ხანია დაიწყეს და ახლა ერთობლივ ნამუშევარში ბოლო კორექტივები შეაქვთ.

პირველად საქართველოში თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი 8, 9 და 10 ოქტომბერს წარმოადგენს უილიამ შექსპირის პიესას „ზამთრის ზღაპარი“. სპექტაკლი განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. შექსპირის პიესის „ზამთრის ზღაპარი“ პრემიერა 8 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამის ფარგლებში შედგება. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია დათა თავაძე, პიესის თარგმანი – დავით გაბუნიასი, კომპოზიტორი – ნიკა ფასური, სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები თამარ მამულაშვილი, დავით ხახიძე, ვამეხ ჯანგიძე, ია ჭილაია, გაგა შიშინაშვილი, სალომე მაისაშვილი, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, სოსო ხვედელიძე, პალიკო ნოზაძე, ანა ზამბახიძე, ნიკა ნანიტაშვილი, ლუკა ქაჩიბაია და მარიამ ჩუხრუკიძე.

–„ზამთრის ზღაპარი“ პირველად 1623 წელს გამოქვეყნდა. იგი კომედიურ ჟანრს მიეკუთვნებოდა, თუმცა მოგვიანებით მას შექსპირის გვიანდელი რომანტიზმის ნიმუშად განიხილავდნენ. „ზამთრის ზღაპარს“ კრიტიკოსების ნაწილი პრობლემურ პიესად მიიჩნევს. პიესა ფსიქოლოგიური დრამისა და კომედიური ჟანრის თანაარსებობის გამო ქართულ თეატრში არასოდეს სარგებლობდა პოპულარობით. ახალგაზრდა რეჟისორი დათა თავაძე, რომლის დებიუტი შედგება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე წარმოგიდგენთ თამამ ინტერპრეტაციას ადამიანის ბუნების სირთულეებისა და ბნელი მხარეების შესახებ. ეს არის სიყვარულისა და ეჭვიანობის, საყვარელი ადამიანების დაკარგვისა და დაბრუნების ამბავი, – ამბობენ მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

თავად თეატრის მმართველის დიმიტრი ხვთისიაშვილის თქმით, პრემიერისადმი დიდი მოლოდინია:

– ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი მოლოდინი ჩვენთვის ის არის, რომ 8, 9 და 10 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გაიმართება პრემიერა შექსპირის „ზამთრის ზღაპრის“, რომლის რეჟისორიც დათა თავაძეა. ეს პიესა საერთოდ პირველად იდგმება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია ქართველებისთვის შექსპირი, „ზამთრის ზღაპარი“ არასდროს დადგმულა. არსებობდა ერთადერთი თარგმანი ზვიად გამსახურდიასი, თუმცა სცენიური ადაპტაციისთვის, აუცილებელი გახდა ახალი თარგმანის გაკეთება, იმიტომ რომ ის უფრო პოეტური თარგმანი იყო და არა დრამატურგიული. დათო გაბუნიას შევუკვეთეთ და გვაქვს სრულიად ახალი ვერსია თარგმანისა. ეს არის დათა თავაძის პირველი დადგმა სამეფო უბნის თეატრის გარეთ, პიესაც პირველად იდგმება და ყველანაირად დებიუტია. ყოველ დღე რეპეტიციის შემდეგ ჩემთან შემოდის ორისამი სხვადასხვა მსახიობი და ვერ მალავს აღფრთოვანებას ახალგაზრდა რეჟისორის ტალანტის მიმართ, იმდენად საინტერესო სარეპეტიციო პროცესია.

თავად დათა თავაძე წინასაპრემიეროდ ჟურნალისტებისთვის ნაკლებად იცლის, თუმცა სოციალურ ქსელში აქტიურობს. ის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს:

–რაც უფრო ცუდი მთავრობა გვეყოლება, მით უკეთესი იქნება თეატრი. ამაში დარწმუნებული ვარ. მერჩივნა პირიქით ყოფილიყო, ან იდეალურ შემთხვევაში ორივე, მაგრამ ეს ინერციით შეშინებული ხალხი, რომელიც დღეს კულტურას განაგებს არაფრით არ ცვლის წინა მთავრობის პრინციპებს. ისევ ზღვარგადასული ნეპოტიზმი, ისევ საკუთარ უკანალზე ზრუნვა, ბევრი მოგზაურობა და წინა მთავრობის რეპლიკების ციტატური სიზუსტით გამეორება... „აფრები გავშალეთ, მაგრამ ზურგის ქარი არ იქნება! აღარც მამლები ამოიყვანენ ყივილით მზეს, რადგან ამაღამ დახოცეს ყველა!“ დამთავრდა! ის დროა პირდაპირ ვილაპარაკო!... მინისტრი კაბინეტში ჰაერს აფუჭებსო ამბობენ... ეს მისი ერთადერთი აქტივობაა?, – აინტერესებს დათა თავაძეს.

ელდარ შენგელაიას იუბილე ლონდონში იზეიმეს

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი რეჟისორის ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილე ლონდონში საზეიმოდ აღნიშნეს. ღონისძიება საქართველოს საელჩოს, დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომოსა და ბრიტანელ-ქართველი საზოგადოების ორგანიზებით ჩატარდა.

კინორეჟისორს 80 წლის იუბილე ლონდონში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი თამუნა კაპანაძემ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ და დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ ირინე სარაჯიშვილმა მიულოცეს. საღამოს ლანა ღოღობერიძე, კახი კავსაძე, მერაბ ნინიძე, ბრიტანეთის ნაციონალური ბალეტის პრიმა ბალერინა ელენე გლურჯიძე, ინგლისში მცხოვრები 105 წლის უხუცესი ქართველი ალექსანდრე ბესტაბაშვილი და ქართულ-ბრიტანული საზოგადოება დაესწრო.

საიუბილეო საღამოზე ნაჩვენები იქნა ელდარ შენგელაიას ბიოგრაფიული პერიოდების და მისი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. მისმა ქართველმა და უცხოელმა მეგობრებმა გაიხსენეს დიდი კინორეჟისორის შემოქმედება და ისაუბრეს მის ღვაწლზე. გაერთიანებული სამეფოს პირველი დამატებითი ქართული სკოლის მოსწავლეებმა რეჟისორს 80 წლის იუბილე ლექსებით მიულოცეს. ბრიტანეთში მოღვაწე ქართული ჯაზ-კვარტეტის მონაწილეობით მუსიკალური ნომრები შესრულდა, საღამოს დასასრულს კი საზეიმო ტორტი გაიჭრა.

ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილე თბილისში საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმშიც აღნიშნეს. სპეციალურად ამ თარიღისთვის მოეწყო გრანდიოზული გამოფენა, სადაც იუბილარი რეჟისორის ნამუშევრებიდან კინოკადრები იქნა წარმოდგენილი. ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში კი ელდარ შენგელაიას ანაბეჭდები საზეიმოდ გაიხსნა.

ელდარ შენგელაია წელს საქართველოს კინემატოგრაფისტა კავშირის თავმჯდომარეობის თანამდებობიდანაც წავიდა. მან 36 წლიანი მმართველობა რეჟისორ ზაზა ურუშაძეს გადააბარა. იგი უკვე 5 წელზე მეტია კინოსაც ჩამოშორდა, არც მის პირად ცხოვრებაში დატრიალებულმა ტრაგედიამ განაპირობა – ელდარ შენგელაიას 22 წლის ქალიშვილი ელენე ტრაგიკულად დაეღუპა. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბუბა კიკაბიძემ რეჟისორთან მოლაპარაკებები დაიწყო, რომ ელდარ შენგელაიას მისი სცენარით ფილმი გადაეღო, რაც იუბილარი რეჟისორის ქართულ კინოში დაბრუნების ნიშანი იქნებოდა, თუმცა როგორ დასრულდა მოლაპარაკებები ბუბა კიკაბიძესა და ელდარ შენგელაიას შორის, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

აფხაზეთში მოწამებრივად აღსრულებულებს სამებაში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

8 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ორგანიზებით, გაიმართება კონფერენცია თემაზე „აფხაზეთში მოწამებრივად აღსრულებული საქართველოს შვილები“, რომელსაც დაესწრებიან მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მთავრობის წევრები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და აფხაზეთიდან დევნილები. კონფერენციის პროგრამა ასეთია: შესავალი სიტყვა – მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), „რელიგია თანამედროვე აფხაზეთში“ – პროფესორი გივი როგავა, „რწმენისათვის შეწირული სულები“ – პროფესორი ზაურ ღომთათიძე, ვიდეო ფილმი – ანდრია ყურაშვილი და გიორგი (იური) ანუა.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში უკვე ჩატარდა აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლობის დასკვნითი შეკრება, რომელზეც მიწვეული იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარე ღონდერ ცაავა, მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელები. შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად ორგანიზატორებმა მიიწვიეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მწერლები, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, მეომრების და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. შეკრების გახსნის პატივი პოეტს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს გენო კალანდიას ერგო. სიტყვით გამოსვლის სურვილი გამოთქვეს „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარე ღონდერ ცაავამ და სხვა საპატიო სტუმრებმა. ღონისძიების ორგანიზატორობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირმა“, საქართველოს საპატრიარქომ, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერმა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა ითავეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განათლების სამმართველომ და სსიპ კინოცენტრმა „აფხაზეთი“ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების შემეცნებითი პროექტი „ჩემი აფხაზეთი“ დასკვნით საღამო ჩაატარა, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების 20 წლისთავს. საღამოს პროგრამაში გაერთიანდა „ზღვიდან მოტა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით
2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის
უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311 – ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემებისმოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკოჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულებისმოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

დინამო ლიდერობს, ტორპედო არ აგებს

სიონი – დინამო (თბ) 1:4

რუსთავი. ფოლადი

0:1 გოგა (10), 1:1 აფციაური (18), 1:2 გოგა (37), 1:3 მერებაშვილი (65), 1:4 გოგა (79)

სიონი: ბათიაშვილი, აბრამიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე, აფციაური (ჩივაძე 83), ბიბილეიშვილი, გოგობერიშვილი, იმედაშვილი, კახელიშვილი, სამხარაძე (ხუჭუა 73), ახალაია (მიკუჩაძე 62)

დინამო: ლორია, კვარაცხელია, სეთურიძე, ხმალაძე, დვალი, მერებაშვილი (გლიშჩრი 88), კვირკველია, გოგა (ე.გრიგალაშვილი 85), ჩისკო (76), გველესიანი, ძარია

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე ანგარიში გაიხსნა. მერებაშვილი ფლანგიდან საჯარიმოში კარგად შეიჭრა და მახვილი კუთხიდან დაარტყა. მართალია, მეკარემ მოგერიება შეძლო, თუმცა იქვე რუმინელი დორინ გოგა დახვდა ბურთს და ცარიელ კარში გატანა აღარ გასჭირვებია – 0:1.

ბოლნისელები გაშვებული გოლის შემდეგ უფრო გააქტიურდნენ და აფციაურმა მე-16 წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. თორნიკემ რამდენიმე მეტოქეს გასცდა და ლორიას მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა – 1:1.

საწყისი წუთების მიხედვითაც ჩანს, რომ ტემპი დაბალი არ ყოფილა და ორივე გუნდი ცდილობდა სიმწვავე შეეტანა მატჩში. ერთია, კლასით „დინამო“ უკეთესად გამოიყურებოდა, თუმცა გამოცდილი ფეხბურთელები „სიონს“ გაცილებით მრავლად ჰყავს.

36-ე წუთზე კი დორინ გოგას ჯარიმა დაარტყა, ბათიაშვილი ამ შემთხვევაში შეცდა და ბურთი სწორედ იმ კუთხეში გავიდა, სადაც მეკარე იდგა – 1:2.

მეორე ტაიმიც, პირველის მსგავსად, სწრაფ ტემპში დაიწყო. „სიონი“ შედარებით მეტ ხანს ფლობდა ბურთს და ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას, „დინამო“ კი, კონტრშეტევებზე თამაშობდა რამაც შედეგი გამოიღო. 63-ე წუთზე გიორგი მერებაშვილმა საჯარიმოში მიიღო გადაცემა და ერი შეხებით ლამაზად გადაგზავნა კარში – 1:3. ამ მომენტამდე კი, ჩისკოს ჰქონდა კარგი შანსი, თუმცა მეკარემ აჯობა.

„სიონი“ ცდილობდა, თუმცა სახიფათო შეტევამდე საქმე არ მიდიოდა. 73-ე წუთზე დორინ გოგა და თორნიკე აფციაური ერთმანეთს ეუხეშნენ და ყვითელი ბარათებიც მიიღეს.

78-ე წუთზე კიდევ ერთი კონტრშეტევა და „დინამომ“ მეოთხე გოლიც გაიტანა. თავი კვლავ დორინ გოგამ გამოიჩინა, რომელმაც ერთი მოძრაობით ადვილად ჩამოიცილა მეტოქე გუნდის მცველი, ხოლო მეორეთი კარში გადაგზავნა ბურთი და ეს რუმინელი ფეხბურთელის პირველი ჰეთ თრიკია საქართველოში, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატშიც პირველი აღმოჩნდა.

მერანი – ტორპედო 0:3

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 კაპანაძე (9), 0:2 ჭელიძე (28), 0:3 კუხიანიძე (59)

მერანი: შეროზია, გეგეჭკორი, ფარულავა, ქარქუზაშვილი, გეგია, ფონიავა, ციკოლია, კერძევაძე, მელიავა (ქაჯაია, 64), შულაია (აშორტია, 77), ბაბუნაშვილი (კვანტალიანი, 54)

ტორპედო: ქვილითაია, ცინცაძე, გიგაური, საბანაძე, კუხიანიძე, ფანცულაია, ხიდეშელი (ჭანტურია, 56), მთივლიშვილი (გაბაძე, 75), კაპანაძე (გოროზია, 66), ზ.ჭელიძე, უბილავა,

სტუმარი გუნდი თითქმის ყველა სათამაშო კომპონენტში ჯაბნიდა მეტოქეს და უკვე მე-9 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა, მარცხენა ფლანგიდან უბილავას ჩინებული ჩაწოდებით მცველს საჰაეროორთაბრძოლა თორნიკე კაპანაძემ მოუგო და თავური დარტყმით თავისიანები დააწინაურა – 0:1.

გოლის გატანა ქუთაისელებს ერთი წუთით ადრეც შეეძლოთ, მაგრამ ცინცაძის შესრულებული „სტანდარტით“ ბურთი ძელმა აისხლიტა.

საწყისი მუხტი მოსაგებად მოტივირებულ ტორპედოელებს ბოლომდე გაჰყვათ. ანგარიში 28-ე წუთზე გაორმაგდა, გიგაურის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ ყველას საჯარიმოში მყოფმა ზაზა ჭელიძემ დაასწრო და ბურთს საგოლედ დაუხვედრა თავი – 0:2.

ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად მეორე ტაიმის დაწყებისთანავე „ტორპედო“ მეტოქის მოედნის ნახევარზე „პრესინგის“ შესრულებას ცდილობდა, რასაც შედეგიც მოჰქონდა. 2-3-ჯერ მარტვილელებმაც დაარტყეს ბურთი ქვილითაიას კარში, თუმცა „ტორპედოს“ კაპიტანმა დროული რეაქციები გამოავლინა.

59-ე წუთზე, მაღალი ტრაექტორიით მერანელთა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი კაპანაძემ თავით დაუგდო გიორგი კუხიანიძეს, რომელმაც გამოზომილი დარტყმით წერტილი დაუსვა მატჩს – 0:3.

ჟერარდ სარაგოსას შეგირდებმა თამაშის სადავეები არც ამის შემდგომ გაუშვეს ხელიდან და მშვიდად მიიყვანეს მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე, რითაც „მერანთან“ სტუმრის რანგში ჩამოყალიბებული უსიამოვნო ტრადიცია დამაჯერებლად დაარღვიეს (ზედიზედ ორი მატჩი სტუმრად ამავე ანგარიშით წააგეს) და მიმდინარე ჩემპიონატში წაუგებელი სერიაც გააგრძელეს.

ვიტ ჯორჯია – მეტალურგი 5:2

მცხეთა. მცხეთა პარკი

1:0 სიჭინავა)4), 2:0 კორიფაძე (16), 3:0 ლობჯანიძე (41), 3:1 საჯაია (45), 3:2 რაზმაძე (67პ), 4:2 კორიფაძე (80), 5:2 ლობჯანიძე (87)

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, მჭედლიშვილი, ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე (ნ.მაისურაძე 80), წყაროზია (ღიბრაძე 57), კორიფაძე, ჯანელიძე, ნ.სიჭინავა (პავლიაშვილი 77), ლობჯანიძე

მეტალურგი: ბედიაშვილი, ჯაფარიძე, მაისაშვილი, მახვილაძე, კაკულია (46 სუხიაშვილი), გურეშიძე, დობროვოლსკი (რაზმაძე 63), გეწაძე, საჯაია (გოგინაშვილი 75), ფიფია, სიხარულიძე

ვეტერინარებმა საკმაოდ რთული მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს. უხვგოლიანი მატჩი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და ანგარიშიც მე-4 წუთზე გახსნეს – სიჭინავამ საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო ბურთი და თავად დაარტყა – 1:0. პირველს მეორე მოჰყვა... მე-16 წუთზე კორიფაძემ თავისი გუნდი დააწინაურა, ასისტენტობა კი ლობჯანიძემ გაუწია – 2:0.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ბევრს ეცადნენ, გოლი თავად მიიღეს.

41-ე წუთზე ჯანელიძემ ლობჯანიძეს მისცა პასი, რომელმაც თანაგუნდელი არ დააღალატა – 3:0.

ტაიმის მიწურულს რუსთაველებმა ერთი გოლის გაქვითვა მოახერხეს. დავით საჯაიამ გეწაძის პასის შემდეგ დაარტყა – 3:1.

პირველის მსგავსად, ძალიან საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმიც. სტუმრებმა ანგარიშის შემცირება 67-ე წუთზე მოახერხეს. საჯარიმოში ჯავაშვილს ხელზე მოხვდა ბურთი, არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დადო, ლუკა რაზმაძემ კი, ზუსტად შეასრულა – 3:2.

თამაში კიდევ უფრო დაიძაბა. სტუმრებმა სახიფათო შეტევებს მოუხშირეს, თუმცა გოლები კვლავ საკუთარ კარში მიიღეს. მე-80 წუთზე აქტიურმა ჯანელიძემ კორიფაძეს დუბლი შეასრულებინა, ხოლო შემდეგ კორიფაძემ შეასრულებინა დუბლი ლობჯანიძეს – 5:2.

ზუგდიდი – ზესტაფონი 0:3

ზუგდიდი. განმუხური

0:1 შარიქაძე (3), 0:2, 0:3 ლომია (80, 90)

ზუგდიდი: მამალაძე, რიგვავა, აფაქიძე, მირცხულავა, ქვარცხავა, მეგაჰედი, კანკია (შ.ლომია 46), სიხარულია, წურწუმია, გუგუჩია (პაჭკორია 70), ჯამალ ჰამზა (ფარჯიკია 46)

ზესტაფონი: რ.კვასხვაძე, თორ.გრიგალაშვილი, თედ.გრიგალაშვილი, ფერეირა, კანდელაკი, კუტალია, აჯურუ, ჭანტურიშვილი, სამუშია (ენდელაძე 81), შარიქაძე (კვერნაძე 87), ს.გურული (ს. ლომია 73)

მატჩი ზესტაფონელთა სწრაფი გოლით დაიწყო. შეხვედრის მე-3 წუთზე ზუგდიდელთა საჯარიმოს სიახლოვეს დაინიშნა ჯარიმა და მისი შესრულება ლევან შარიქაძემ ითავა – მარგველთა ნახევარმცველის ჩაწოდებული ბურთი ზურაბ მამალაძის კარის ბადეში ისე აღმოჩნდა, რომ გზად არავის შეხებია.

პირველი ტაიმი პოზიციურ ბრძოლაში კი მიილია, თუმცა შეტევითი აქციებისას უფრო მწვავედ მაინც სტუმრები გამოიყურებოდნენ. ანგარიშის გაზრდა გურამ სამუშიას მართებდა, თუმცა მისი დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტუმრებმა ზუგდიდელთა კართან მწვავე იერიში განახორციელეს და რომ არა მასპინძელთა დაცვის თავგანწირული თამაში, ლევან შარიქაძე კიდევ ერთხელ გაუტანდა მამალაძეს. რამდენიმე წუთში ზუგდიდელთა მეკარემ ლევან კუტალიას ურთთულესი დარტყმა აუღო. აშკარა გოლებს გადაურჩა „ზუგდიდი“ სანდრო გურულისა და გურამ სამუშიას დარტყმების შემდეგაც.

ამდენი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, მარგველებმა გადამწყვეტი გოლი 80-ე წუთზე მაინც გაიტანეს – საბა ლომია მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გავიდა და შანსი ჩინებულად გამოიყენა. მატჩის კომპენსირებულ მეორე წუთზე კი სტუმრებმა ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს – ავთო ენდელაძის კარგი გადაცემა გოლად ისევ საბა ლომიამ აქცია.

გურია – დილა 2:0

ქობულეთი. ჩელე არენა

1:0 შალამბერიძე (63), 2:0 კოშკაძე (79)

გურია: ბობღიაშვილი, ჩუენსუ, იობაშვილი, ჩიკვილაძე, ჯიშკარიანი, ჯოჯუა, გაჩეჩილაძე (დარჩიე 64), კუკულაძე (შენგელია 61), კოშკაძე, შალამბერიძე, ისიანი (ტორონჯაძე 90)

დილა: რევიშვილი, ღონღაძე, კობახიძე, თომაშვილი, ფილიევი (გ.ქვილითაია 67), აბურჯანია, დიასამიძე (დოლიძე 68), გორელიშვილი, მაისურაძე, მოდებაძე, გ. გურული (ალადაშვილი 15)

გაძევება: ღონღაძე (81)

პირველი სახიფათო მომენტი მატჩის მე-5 წუთზე შეიქმნა, როდესაც ვილი ისიანი ერთი-ერთზე დარჩა რევიშვილთან, თუმცა „დილას“ მეკარემ კარგად ითამაშა და იხსნა თავისი გუნდი. ასეთივე მომენტი ჰქონდა გიორგი აბურჯანიას, რომელიც პირისპირ გავიდა ბობღიაშვილთან, მაგრამ აქაც მეკარე გამოვიდა გამარჯვებული.

27-ე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გახსნა კვლავ შეეძლოთ, თუმცა ისიანის დარტყმული ძელს მოხვდა. ამის შემდეგ უკვე გორელებმა ვერ გაიტანეს – მოდებაძის დარტყმული ასცდა კარს.

მეორე ტაიმში ისიანი კვლავ აქტიური იყო, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით ვერ მოარტყა მიზანში. ირაკლი მაისურაძესაც ჰქონდა ორი მომენტი, თუმცა მიზანმა მასაც ოდნავ უმტყუნა.

რამოდენიმე მცდელობის შემდეგ, „გურიამ“ მაინც შეძლო გოლის გატანა. 64-ე წუთზე შალამბერიძემ გახსნა ანგარიში ამ მატჩში, ხოლო მე-80 წუთზე საგოლე გადაცემა გააკეთა და კოშკაძეს ანგარიში ორამდე გააზრდევინა.

ორ წუთში ღონღაძეს უხეში თამაშისთვის ხარიტონაშვილმა წითელი ბარათი უჩვენა და ფეხბურთელმა მოედანი ნაადრევად დატოვა. მატჩში ანგარიში აღარ შეცვლილა და „გურიამ“ აქტივში სამი ქულა ჩაიწერა.

ჩიხურა – სპარტაკი 2:1

ქუთაისი. ცენტრალური

1:0 2:0 ტატანაშვილი (45პ,62), 2:1 კვეკვესკირი (89)

ჩიხურა: სომხიშვილი, ლ.ჭელიძე, ჯიღაური (ჩიკვაიძე 77), ნ.კვასხვაძე, ლომაშვილი, ტატანაშვილი (წინამძღვრიშვილი 71), დათუნაიშვილი (ქიმაძე 85), კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე, რეხვიაშვილი

სპარტაკი: ნადირაძე, მგელაძე, ქურდაძე, კვეკვესკირი, მეგრელიშვილი, შონია, ბურძენაძე (ჭაფოძე 81), კილასონია, თუხარელი (თექთურმანიძე 46), მეტრეველი, ფანცხავა (მაქაცარია 71)

„ჩიხურამ“ ქუთაისში მესამედ იმარჯვა. საჩხერელთა მოგების ერთ-ერთი შემოქმედი დიმიტრი ტატანაშვილი იყო, რომელმაც ჯერ პენალტით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი დუბლიც შეასრულა და ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა.

ერთადერთი საპასუხო ბურთი ნიკა კვეკვესკირის ანგარიშზეა.

საატუნიორო ცხრილი:

1.დინამო	8	6	1	1	19:7	19
2.ტორპედო	8	5	3	0	13:4	18
3.ჩიხურა	8	5	1	2	17:11	16
4.გურია	8	4	0	4	8:9	12
5.მერანი	8	4	0	4	11:14	12
6.ვიტ ჯორჯია	8	3	2	3	13:11	11
7.დილა	8	3	2	3	10:10	11
8.მეტალურგი	8	3	2	3	9:14	11
9.ზესტაფონი	8	3	1	4	9:7	10
10.სიონი	8	2	2	4	10:13	8
11.ზუგდიდი	8	1	2	5	3:13	5
12.სპარტაკი	8	1	0	7	4:13	3

ბომბარდირები: დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 7 ბურთი, დორინ გოგა (დინამო) – 6, ირაკლი მოდებაძე (დილა) – 5, ირაკლი ქობალია (ზესტაფონი), თორნიკე კაპანაძე (ტორპედო), ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი კორიფაძე (ორივე ვიტ ჯორჯია) – 4-4.

სოჭის თემა: მთავრობა და სპორტი წასვლაზე დაფიქრდნენ

ბოლო დროს ძალიან აქტუალური თემა გახდა საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობა სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

– ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ფონზე სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოლიმპიური გუნდის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება, უკიდურესად რთული მისაღები იყო.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გამოხატა კეთილი ნება და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თანამიმდევრული მოწესრიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე.

ვთვლიდით და ახლაც ვთვლით, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყნის მოქალაქეებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ რთულ გზაზე კი, აუცილებელია ურთიერთობის ისეთი სფეროების გამოკვეთა, რომლებიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია და ასევე ნაკლებად უკავშირდება საქართველო-რუსეთის ძირითად პრობლემებს.

ასეთებად ჩვენ მივიჩნიეთ კულტურას, ვაჭრობას, სატრანსპორტო კავშირებს, ტურიზმსა და სპორტს. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს კეთილი ნება ჯერ კიდევ ვერ ან არ არის სათანადოდ შეფასებული და შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციები. მაშინ, როდესაც ჩვენი სურვილია ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და მონაწილეობის მიღება ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებაში, რადგან ოლიმპიური იდეა სწორედ მშვიდობასა და თანამშრომლობას ემსახურება, მეორე მხარე სწორედ პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობს მის გამოყენებას.

სხვა ვერაფრით აიხსნება, მაგალითად ის, რომ ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსეთმა შეარჩია ე.წ „2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავი“.

ცხადია, ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა თავად აირჩიოს გმირები, მაგრამ ასევე ცხადია, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების მსურველი ქვეყანა ასე გამომწვევად არ მოიქცევა. საქართველოს მთავრობის ყურადღების მიღმა არც ის რჩება, რომ სოჭის ოლიმპიადასა და საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით მწვავდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად. საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებასთან – პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამავე დროს საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთგულია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების არჩეული – თანამიმდევრული კურსის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს. თუ საქართველოს საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ხდება სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზაცია და მისი მიზანმიმართული გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და ინტერესების დასაცავად შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები და ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების მთავრობები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს.

საგანგებო განცხადება გააკეთა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტმაც:

– საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სესიამ 2013 წლის 2 მაისს მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობის თაობაზე.

მიუხედავად ჩვენს საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, სესიის დელეგატებმა უწინარესად იხელმძღვანელეს ოლიმპიური ქარტიის ფუძემდებლური პრინციპებით, ქართული სპორტის ინტერესებით, იმ ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ოლიმპიადაში ჩვენს მონაწილეობაზე უარის თქმას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტს არაერთხელ განუცხადებია და ახლაც ადასტურებს, რომ ერთგულად იცავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე აღებულ ვალდებულებებს, პატივს სცემს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მიღებულ წესებს, ამასთანავე იმედი აქვს, რომ იგივე სულისკვეთებით იმოქმედებენ ამ პროცესში ჩართული მხარეები, მათ შორის – სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი.

ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენთვის ცნობილი გახდა იმის თაობაზე, რომ ტელეეუურნალისტების ოლიმპიადაზე აკრედიტაციის ელექტრონულ ბაზაში დამოუკიდებელ საერთაშორისო სუბიექტებად შეიტანეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რაც ეწინააღმდეგება ყველა წესს და კანონს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მიღებული ოფიციალური წერილი გვარწმუნებს, რომ ეს დასანანი გაუგებრობა უმოკლეს დროში აღმოიფხვრება.

აქვე გვინდა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მივაპყროთ მედიით გავრცელებულ ინფორმაციას ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნეთა რიგებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მონაწილის, რუსული ბომბმშენის მფრინავის ივან ნიჩაევის ჩართვის შესახებ. ძირითადი ოლიმპიური ფასეულობაა საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრება, „მშვიდობის-მოყვარე საზოგადოების ჩამოყალიბება“ (ოლიმპიური ქარტია). რუსული მხარის ამგვარი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ ოლიმპიურ ღირებულებებს და საყოველთაო გულისწყრომას იწვევს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში ამგვარი გაუგებრობები არ მოხდება და ჩვენ არ მოგვიწევს 2013 წლის 2 მაისის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა.

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

„თბილისობა“ დასრულდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზე წარმოდგენილ მიუზიკლს დაესწრო.

– ეს მიუზიკლი შარშან ცოცხების აქციის გამო შეჩერდა, რადგან შარშან უფრო მეტი პრიორიტეტი მიეცა რეჟისორ ბედუკაძის მიერ დადგმულ ცოცხების კადრებს და რატომღაც ხელოვნება გახდა მსხვერპლი. ბედუკაძე კი ლამის საქართველოს ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. კარგია, რომ თბილისის მერიამ გადაწყვიტა, ამ სპექტაკლის თავიდან დადგმა. ვწუხვარ იმის გამო, რომ ყველა ამ პროცესის შედეგად შეჩერდა ხელოვნების ცენტრის მშენებლობა, რომელიც მსოფლიოს კლასისაა და საქართველოს სიამაყე იქნება. მე ვნახე ტელევიზორში ბათუმის ხელოვნების ცენტრში მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი ატარებდა კამპანიას და ჩემს და ვარშალომიძის მიერ აშენებულ ხელოვნების ცენტრში ყვებოდა, როგორ ვანგრევდით ჩვენ საქართველოს. უკვე სასაციოლოგ აღარ არის ეს ყველაფერი. ყველა ცენტრი აუცილებელია რომ დასრულდეს, ახალი რაღაცეები გაკეთდეს და საქართველომ გააგრძელოს ცხოვრება, როგორც იყო მანამდე. ბოლო წლის განმავლობაში ბევრად ნაკლები კონცერტი და კულტურული ღონისძიება ჩატარდა. მინდა ვიკითხო, არის თუ არა ხალხი უფრო ბედნიერი იმით, რომ ეს ყველაფერი შეჩერდა. ხომ ამბობდნენ, რომ კონცერტებს გადააყოლეს ქვეყანა და ამ ფულს გადავანაწილებთ ხალხის საკეთილდღეოდო. გადაანაწილეს ეს ფული? აშენდნენ იმ ფულით, რომელიც კონცერტებზე იხარჯებოდა? საქართველო უკეთესია თუ არა იმით, რომ ასობით ხელოვანი სრულიად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა?, – აინტერესებს პრეზიდენტს.

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით თბილისის მერმა გიგი უგულავამ ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმ „ქარვასლაში“ „საპატიო თბილისელები“ დააჯილდოვა. „საპატიო თბილისელის“ წოდება წელს 18 ადამიანს მიენიჭა, მათ შორის, თამაზ ჭილაძეს (მწერალი), ამირან შალიკაშვილს (მსახიობი), მზია ნადირაძეს (ილია ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმის ხელმძღვანელი), ციალა კალმახელიძეს (ბიბლიოთეკარი), ქეთი მატაბელს (მხატვარი), რამინ მიქაბერიძეს (მომღერალი), თემურ ყვითელაშვილს (მუსიკოსი), თამაზ ჭელიძეს (გეოფიზიკოსი), გიორგი ჩლაიძეს (კომპოზიტორი), თეიმურაზ ბაბუნაშვილს (პროფესორი), ჯემალ ბაღაშვილს (მუსიკოსი), ნუგზარ შარიას (ჟურნალისტი, მსახიობი), ნოდარ გიორგაძეს (ბიზნესმენი), თენგიზ დოლიძეს (თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომელი), ანზორ ტარყაშვილს (ავტობუსის მძღოლი), გელა ჩარკვიანს (დიპლომატი), მალხაზ სონღულაშვილს (საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი) და მალგოჟატა გოშევსკას (საქართველო-პოლონეთის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე).

წლევანდელი თბილისობა წინა წლების მსგავსად მრავალფეროვანი პროგრამით იყო წარმოდგენილი, თუმცა ღონისძიებათა შორის არ აღმოჩნდა ლიტერატურული პრემია „გალა“, რომელიც თბილისობის დღესასწაულის სავიზიტო ბარათად იყო მიჩნეული ლიტერატურის ჟანრში. როგორც დედაქალაქის საკრებულოში „ახალ თაობას“ განუცხადეს, მათთვის უცნობია, ჩატარდება თუ არა საერთოდ ლიტერატურული პრემია „გალა“, თუმცა ის რომ წლევანდელი თბილისობის პროგრამაში ვერ მოხვდა, მათთვის უკვე ცნობილი იყო. ლიტერატურული პრემია „გალა“ საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის მწერალ ზაალ სამადაშვილის ინიციატივით დაარსდა და წლების განმავლობაში სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულებს ავლენდა.

ძველ თბილისში თბილისობისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა გააერთიანა კონცერტები, გამოფენები, სანახაობები, ხილის, ჩაის, თაფლისა და ღვინის ფესტივალი. წელს ტრადიციულად კვლავ დაიდგა გრანდიოზული საწნახელი, სადაც 7 ტონა ყურძენი დაიწურა, თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, დაწურული ყურძნის წვენის სახლში წაღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო, ამიტომ საწნახელთან მსურველთა რიგები დადგა.

ჩაისა და თაფლის საერთაშორისო ფესტივალმა დამთვალიერებლებს წელსაც საინტერესო სანახაობა შესთავაზა. სიონის სკვერში გამართულ ფესტივალში ქართული ჩაის მწარმოებელი კომპანიების გარდა მონაწილეობა მიიღეს იმპორტიორმა და მეზობელი ქვეყნების ჩაის მწარმოებლებმა, დარგის სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა. ფესტივალის სტუმრებს უამრავი სახეობის ჩაისა და თაფლის დაგემოვნების საშუალება მიეცათ.

ღვინის ფესტივალი „თბილისობის“ ფარგლებში უკვე მესამედ ჩატარდა. გორგასლის მოედანზე ნაჩვენები იქნა ღვინის ჩამოსხმის ცერემონიალი. გამოცდილმა მეთუნეებმა დამთვალიერებლებს და სტუმრებს აჩვენეს ტრადიციული თიხის ჭურჭლის დამზადების ხელოვნება. დღის განმავლობაში სხვადასხვა ფოლკლორულმა ანსამბლებმა წარმოაჩინეს საკუთარი შემოქმედება. ფესტივალის ორგანიზატორობა „ღვინის კლუბმა“ ითავა.

„ხილის ფესტივალში“ მონაწილეობას მიიღეს შარდენისა და ბამბის რიგის მიმდებარე ტერიტორიის რესტორნებმა და კაფე-ბარებმა. ღონისძიების მონაწილეებმა რესტორნებისა და კაფე-ბარების ინტერიერი, ბამბისა და რკინის რიგები, შარდენისა და სიონის ქუჩები ხილისგან შექმნილი ულამაზესი კომპოზიციებით გააფორმეს.

თბილისობაზე ტრადიციულად წარმოდგენილი იქნა ავტო შოუც, სადაც გამოიფინა როგორც რესტრო მანქანები, ასევე თანამედროვე მარკის მოდელები. ჩატარდა მოტო და ავტო შეჯიბრიც. 19 წლის ახალგაზრდა მორაგბემ გურამ უსტიაშვილმა გინესის რეკორდი დაამყარა, სამი რეტრომანქანა ერთმანეთს გადაბა და კბილებით 4 მეტრსა და 37 სანტიმენტრზე გასწია. ფაქტი საქართველოს რეკორდების ფედერაციის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს და უახლოეს მომავალში აუდიო და ვიდეო მასალას მსოფლიო რეკორდების ორგანიზაციას გადაუგზავნიან.

ორი დღის განმავლობაში თბილისობის ფარგლებში ჩატარდა ქორეოგრაფიული ანსამბლის „როკვა“, ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლის „ჩოხოსნები“ და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლის „შეჯიბრი – პატარა მედოლეების“ კონცერტი, ქართული პოპ მუსიკის კონცერტი, ჯგუფის „ეგარი“ კონცერტი, ჯგუფის „ბანი“ კონცერტი, ბაზიერების შოუ, ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმოდგენა „შავფაროსნები“, ოთარ რამიშვილის 75 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი „ოთო ნემსაძე წარმოგიდგენთ ოთარ რამიშვილის დაუვიწყარ მუსიკას“, ნარდისა და ჭადრაკის სამოყვარულო ტურნირები, საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის წარმოდგენა, მეთოჯინე ბახვა წერედიანის თოჯინური წარმოდგენა, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ჩასაბერ საკრავთა ანსამბლი „ჯორჯიან ბრასს“-ის კონცერტი, ახალგაზრდა პოეტების საღამო, კომედი შოუს და კომედი არხის მსახიობების კონცერტი თბილისობისთვის, ავტო შოუ, გასეირნება ტივით – მეარღნის, მედუდუკეებისა და ყარაჩოღელების თანხლებით, ბაიდარების მსვლელობა მტკვარზე, თბილისის IV საერთაშორისო სამხატვრო პლენერზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა, ხილის ფესტივალი, სპორტული აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომა, მხიარული სტარტები, სთრითბოლი, ქართული ჭიდაობა, ხრიდოლი, კლდეზე ცოცვა, თეატრალიზებული მუსიკალური წარმოდგენა „ფიროსმანი“ ბავშვებისათვის ბასტი-ბუბუსთან ერთად, სხვადასხვა ეროვნების ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ხელნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა, სამეცნიერო პიკნიკი, სადღესასწაულო მსვლელობა ბოტანიკურის ქუჩაზე, გამოფენა „ქეთი მატაბელი თბილისი მეიდანზე“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემოქმედების წარდგენა, თბილისის მუნიციპალური სახლ-მუზეუმების თემატური ექსპოზიციები, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციის გამოფენა, პარა მშვილდოსნობა, ჩაის ფესტივალი, „რეტრო ბენდის“ კონცერტი, კამერული ორკესტრის კონცერტი – დირიჟორი ავთო მამაცაშვილი, „თბილისის ბიგ ბენდის“ კონცერტი, ჯაზ-ბენდ „5ტეტ“-ის კონცერტი, ჯგუფი „სანდას“ კონცერტი, ღვინის ფესტივალი, „მარნეულის მწნილის ფესტივალი“, ქართული ლუდის ფესტივალი, ქართული ჯგუფების კონცერტი, ექსპოზიცია „XIX საუკუნის მრავალეთნიკური თბილისი“, კვინტეტ „ზი ქვინთესენციას ფაივ“-ის კონცერტი, მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“, მოძრაობის თეატრის საჰაერო შოუ მშვიდობის ხიდზე.

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთში მოწამებრივად აღსრულებულებს სამებაში გაიხსენებენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნილი ამბები“, რომელიც მოიცავდა ინტერვიუებს, გამოკითხვებს აფხაზეთიდან დევნილ მეომრებთან, მათ ბებია-ბაბუებთან, აფხაზეთში დარჩენილ ნათესავებთან, მეზობლებთან; „ჩემი აფხაზეთი“ – მოზარდების ნახატების, ნაწერების, ესეების, ჩანახატების გამოფენას; „ჩვენი ფესვები“ – ფოტო-ალბომის გამოფენას; აფხაზი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის მიერ მომზადებული ექსპონატების გამოფენას; ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის „ჩემი აფხაზეთი“ წარმოდგენას. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები. ასევე აფხაზეთის მეომართა კავშირი და აფხაზეთის ომის მონაწილე მეომრები, აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები, აფხაზეთის საჯარო სკოლები, ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“-ის ფოლკლორული ანსამბლი „აგუძერა“ და აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები. საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში არა მარტო აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების გარდა, 8 აგვისტოს მოვლენებიც გაიხსენეს. „გვახსოვს 8 აგვისტო“ – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო დემოკრატიული განვითარების ცენტრი“ და მის ბაზაზე არსებული გაზეთი „თიფლის თაიმის“ ორგანიზებით ჩატარდა. ხსოვნის საღამო საპატრიარქოს მხარდაჭერით გაიმართა და მას „საერთაშორისო დემოკრატიული განვითარების ცენტრი“ ყოველწლიურად ატარებს. საღამოს ესწრებოდნენ 2008 წლის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრები. ღონისძიების ფარგლებში არქიმანდრიტმა ლაზარემ გადაიხადა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი. საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გაიმართა ხსოვნის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგა ბერაძემ, სოფო ნოზაძემ და პოეტებმა ნიკა ჭითანავამ და ლელა ნინუამ.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გამომცემლობა „ლომარი“-ს მიერ გამოცემული წიგნის „ნიჭიერი თაობა“ წარდგინება მოეწყო. გამომცემლობა „ლომარი“ წლების მანძილზე გამოსცემს საბავშვო ჟურნალებსა და წიგნებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ახალგაზრდების სულიერ სამყაროზე. წიგნი „ნიჭიერი თაობა“ მოიცავს გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების წარმატებულ მოღვაწეობას. წიგნი შესრულებულია მაღალი ხარისხითა და დახვეწილი დიზაინით. ამავე სივრცეში პოეზიის საღამო მოეწყო, სადაც მანანა ჩიტიშვილის პოეზია იქნა წარმოდგენილი. საღამოს დეკანოზი პეტრე კვარაცხელია უძღვებოდა. როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, ტრადიციული პოეზიის საღამოები ყოველ კვირას გაიმართება და მათზე დასწრება თავისუფალია.

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში თვითნასწავლმა მხატვარმა ტარიელ ზანგურაშვილმა ნახატების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო, სადაც ხელოვანის 40-მდე ნამუშევარი გამოიფინა. საუკთარი ნამუშევრები გამოფინეს სამების ტაძრის პირველ სართულზე უსინათლო მხატვრებმა. „შეუძლებელი არაფერია“ – ასე ეწოდებოდა ექსპოზიციას, რომელიც განხორციელდა პროექტის „უსინათლო და მცირემხედველთა შემოქმედება“ ფარგლებში. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 6 უსინათლო მხატვრის 40-მდე ნამუშევარი.

– პროექტის „უსინათლო და მცირემხედველთა შემოქმედება“ მიზანია მხატვრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა, მათი ნიჭის პოპულარიზაციისა და კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის. აღნიშნული პროექტი მოიცავს ოთხთვიან სწავლებას სპეციალური დაფებისა და პლასტიკური ფურცლების გამოყენებით, რომლებიც ფორმატის პროპორციების აღქმას აიოლებენ. პროექტი საქართველოს უსინათლოთა კავშირისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა, – განაცხადა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

უნარშეზღუდულმა ხელოვანმა მარინე ქაციბაიამ პერსონალური გამოფენა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში მოაწყო, სადაც 40-მდე ნამუშევარი გამოიფინა. გამოფენასთან ერთად გაიმართა მარინეს პოეზიის საღამო და მასში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა, მომღერლებმა და ანსამბლებმა. საღამოს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დიაკვანი გურამ ოთხოზორია უძღვებოდა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში სტუდია „გუთანი“-ს ახალი ფილმის „არაჩვეულებრივი“ ჩვენება მოეწყო.

– ფილმი მოგვითხრობს თანამედროვე ქართველი პილიგრიმის, ფეხით მომლოცველის, უნიჭიერესი ადამიანის პაატა მოისწრაფი შვილის სიყვარულით, რწმენით განვლილი გზების შესახებ საქართველოდან იერუსალიმამდე და ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე! ფილმის რეჟისორია ლექსო გელაშვილი, კინოოპროდიუსერი დავით ყალიჩავა, – განმარტა ნათია გოგუაძემ.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 2. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 3. ქართული ლუდი; 5. გადამდნარი ღორის ქონი; 6. გერმანული ელექტროტექნიკური ფირმა; 8. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 10. ფარული ხრიკები, საძრახისი მოქმედება რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ირანის პრეზიდენტი; 15. მებარგული, ტვირთის მზიდავი იტალიაში; 16. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

თარაზულად: 1. პირველი შვილი; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ისლანდიის პარლამენტი; 7. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქართველთა სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 11 კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 13. გერმანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 18. იაპონური ბრინჯის არაყი; 19. პროფესიონალი მაბეზღარა, დამსმენი შანტაჟისტი ძველ საბერძნეთში; 20. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პერანგი; 3. მეტალი; 8. ბარაქა; 9. ციგა; 14. ამაგი; 15. აზდაკი; 17. ნევა; 20. ბანზაი; 22. ნავთი; 23. მაკარი; 25. ენა; 26. ალტი; 27. ლემა; 28. პარტიზანი.

შვეულად: 1. პიცა; 2. ინა; 3. მასშტაბი; 4. ლი; 5. მარაკანა; 6. ლავა; 7. კარმენი; 10. გემი; 11. რედინგოტი; 12. სინეკურა; 13. აზრი; 16. სამანი; 18. ევტერპე; 19. ამინდი; 21. ავიზო; 24. რუპია.

სკანვორდის პასუხები:

1. კოლუმბი; 2. ლომი; 3. მერიმე; 4. რომბი; 5. დონი; 6. ამია; 7. უნია; 8. პერი; 9. აკადემიკოსი; 10. მინდია; 11. პერუ; 12. იადონი; 13. ტოკატა; 14. დატივი; 15. კამელია; 16. შარლ; 17. კაა; 18. ინა; 19. ბუი; 20. ძუა; 21. აპრიორი; 22. არაუკარია; 23. პალიტრა; 24. ტიტული; 25. ზორბა; 26. ვიზავი; 27. ინკასო; 28. როკოკო; 29. ილი; 30. ილიადა; 31. კორტი; 32. კავატინა; 33. ბილ.

სურათებზე: შერილ კოული; არტურო ვიდალი.

ინდოეთში მეხისგან 32 ადამიანი დაიღუპა

ინდოეთის ჩრდილოეთ შტატებში, ბიჰარსა და ჯარკჰანდში გასულ უქმეებზე მეხისგან არანაკლებ 32 ადამიანი დაიღუპა, რომელთაგან ცხრა ბავშვია, იტყობინება „სქაი ნიუსი“. წვიმებმა და ძლიერმა ქარმა სახლების დიდი რაოდენობა დააზიანა.

ბიჰარის შტატში მეხის დაცემის შედეგად 24 ადამიანი გარდაიცვალა. კიდევ რვა სტიქიისგან მეზობელ შტატში დაიღუპა.

ბიჰარის სოფელ ბარვაში ექვსი ბიჭი დაიღუპა, როცა ფეხბურთს თამაშობდნენ. მეორე რაიონში ხუთი ადამიანი, მინდორში მუშაობისას დაიღუპა. სუპუალის ოლქში, მეხის დარტყმისგან სკოლის დირექტორი გარდაიცვალა, იტყობინება „რია ნოვოსტი“.

ივნის-ოქტომბერში, ინდოეთში მუსონური წვიმების სეზონია, რასაც მეხის დარტყმები თან სდევს, მაგრამ ამდენი მსხვერპლი იშვიათი მოვლენაა.

ურბანიზაციის მოწინააღმდეგე ესპანელმა მწყემსებმა მადრიდში 2 ათასი ცხვარი შერეკეს



ესპანელმა მწყემსებმა, ურბანიზაციის წინააღმდეგ მადრიდში უკვე ტრადიციად ქცეული საპროტესტო აქცია გამართეს; მათ ტურისტების სახალისოდ, დედაქალაქის ქუჩებში ცხვრის ფარა გაატარეს, იტყობინება „პუბლიკო.ესი“.

უწვეულო აქცია ზედიზედ მეჩვიდმეტეჯერ ეწყობა. როგორც 1273 წელს დაფუძნებული მწყემსთა საბჭოს პრეზიდენტი, ხესუს გარსონი აცხადებს, ამ აქციით მესაქონლეები სამწყემსო მარშრუტებზე უფლებების შენარჩუნებას ითხოვენ. ეს გზები დიდი ხნით ადრე გაიყვანეს, სანამ მადრიდი მრავალმილიონიანი მოსახლეობით, თანამედროვე ევროპულ დედაქალაქად გარდაიქმნებოდა.

სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის მეტროპოლიტენის ელმომარაგების სამსახურის თანამშრომლები მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე, კადრებისა და სოციალურ საკითხებში ღვაწლმოსილი, ამაგდარი ადამიანი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ქალბატონი

ეკატერინე ქარუმის ასული ბელელური

და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 8, 9 ოქტომბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 10 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: სანზონა, X° კორპუსი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ბატონ ზურაბ ჯგუბურიას მეუღლის

ცისანა გუნჯუა-ჯგუბურიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პუტინი 61-ე დაბადების დღეს კუნძულ ბალიზე ხვდება

7 ოქტომბერს ვლადიმერ პუტინს 61 წელი შეუსრულდა. რუსეთის პრეზიდენტი აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტს ესწრება, რომელიც ინდონეზიის კუნძულ ბალიზე, დღეს, გაიხსნა.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დმიტრი პესკოვი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის 61-ე დაბადების დღე, ისეთივე სამუშაო დღე იქნება, როგორც წინა წლებში: „პუტინის დაბადების დღე იქნება სამუშაო, ხშირად ასეა, წელს კი განსაკუთრებით სამუშაო დღეა“.

იმდენად, რამდენადაც პუტინის დაბადების დღე დაემთხვა სამიტის საკვანძო სამუშაო დღეს, რუსეთის პრეზიდენტი, მთელი დღის განმავლობაში, შეხვედრებს გამართავს.

პრეს-მდივანმა აღნიშნა: „ბოლო შეხვედრა დაგეგმილია 22:30 ადგილობრივი დროით, თუ ღმერთმა ინება, იქნებ შუა ღამემდე ნახევარი საათით ადრე, შევძლოთ და მივულოცოთ პუტინს დაბადების დღე“.

„აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის“ სამიტის დროს ინდონეზიის პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდოიონომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დაბადების დღე სიმღერით მიულოცა. აღნიშნულის შესახებ „რია ნოვოსტის“ რუსეთის დელეგაციის წევრმა განუცხადა.

ინდონეზიის პრეზიდენტმა სიმღერა გიტარის თანხლებით შეასრულა. ინდონეზიელი კოლეგის მილოცვა მოულოდნელი აღმოჩნდა პუტინისათვის.

როგორც ცნობილია ამ სამიტს ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც უნდა დასწრებოდა, თუმცა ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისის გამო ობამამ სამიტზე დასწრება ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

ასევე, ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეზე ევროპის ექვს ქალაქში(ლონდონი, მადრიდი, პარიზი, ბარსელონა, ამსტერდამი, ბერლინი), ყველაზე ცნობილ კედლებზე, მისალოცი ნახატები გაჩნდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ამ აქციის სახელწოდებაა „მშვიდობისმყოფელი“, რაც სირიის კონფლიქტის მოგვარების მცდელობაში რუსეთის უარყოფით როლს უკავშირდება.

ჯონ ქერი სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების დაწყებით კმაყოფილია

ქიმიური იარაღის განადგურების დაწყებასთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კმაყოფილებას გამოთქვამს. . ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

„ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია, რომ სირიამ გაერო-ს რეზოლუციის ამოქმედებიდან ერთ კვირაში დაიწყო ქიმიური იარაღის ნაწილის განადგურება. ჩემი აზრით, არსებობს ასადის ნდობის საფუძველი, რადგან ვალდებულებებს ასრულებს“, - განაცხადა ჯონ ქერიმ.

ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე მიმდინარე აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის პარალელურად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი სირიის თაობაზე სასაუბროდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს შეხვდა.

ლავროვის თქმით, ის იმედოვნებს, რომ 10 დღის წინ მიღებული გაერო-ს რეზოლუციის პირობებს ყველა მხარე შეასრულებს.

შეხვედრის ფარგლებში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ასევე ხელი მოაწერეს რუსეთ-აშშ-ის შორის დადებული ბირთვული საფრთხის შემცირების შეთანხმებაში შესატან ცვლილებებს.

ბირთვული საფრთხის შემცირების ნაციონალური ცენტრის დაფუძნებას რუსეთსა და აშშ-ს შორის 1987 წელს მოეწერა ხელი.

„ადრე თუ გვიან სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი თანამდებობას დატოვებს“, -ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა.

მისი თქმით, სირიაში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის მიუხედავად, თურქეთში არსებობენ ძალები, რომლებიც ასადის რეჟიმს უჭერენ მხარს.

სირიაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც გაეროს მონაცემებით, 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. თურქული მხარის ინფორმაციით, თურქეთში სირიელ ლტოლვილთა რაოდენობა 300 000-ს ადამიანს უახლოვდება.

ეგვიპტეში დაპირისპირებას ათობით ადამიანი ემსხვერპლა



ეგვიპტეში უსაფრთხოების ძალებსა და გადაყენებულ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის მხარდამჭერებს შორის დაპირისპირებას, სულ მცირე, 50 ადამიანი ემსხვერპლა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, დაშავდა ათობით ადამიანი.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, დაპატიმრებულია „მუსლიმი ძმების“ ორასი წევრი. უსაფრთხოების ძალებსა და მურსის მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება ერთდროულად ეგვიპტის რამდენიმე ქალაქში მოხდა. კვირას ეგვიპტეში არაბეთისრაელის კონფლიქტის დაწყების 40 წლისთავს აღნიშნავდნენ. ტაჰრირის მოედანზე ეგვიპტის საჰაერო ძალების მიერ მოწყობილი ჩვენების სანახავად ასობით ადამიანი მივიდა. უსაფრთხოების ძალები მურსის მხარდამჭერებს მოედანზე არ უშვებდნენ.

ადრე ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა „6 ოქტომბრის ჩაშლის მცდელობას“ არ დაუშვებდა.

პრეზიდენტი მურსის გადაყენების შემდეგ, ეგვიპტეში „ძმები მუსლიმების“ ასობით მხარდამჭერი მოკლეს.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის არმიის გენერალმა ქვეყანაში სტაბილურობის აღსადგენად არჩევნებზე სწრაფად გადასვლის შესახებ ისაუბრა. რადგან, მისი თქმით, გადაყენებული პრეზიდენტის მოჰამედ მურსის მომხრეები „სამხედრო მთავრობის დასასრულებლად“ გამოსვლებს არ წყვეტენ.

პოლიციელებისა და სამხედროების წინაშე გამოსვლისას არმიის გენერალმა აბდელ ფატაჰ ალ-სისიმ ყველას მოუწოდა „კარგად გაიაზრონ შექმნილი რთული ვითარება და რაც შეიძლება დააჩქარონ ტრანზიციის პროცესი“.

მისი თქმით, მურსიმ ვერ შეძლო ეგვიპტელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც ცნობილია, „მუსლიმთა საძმომ“ არმია დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდებაში დაადანაშაულა.

ქვეყნის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ ფაჰმიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ მთავრობა ტრანზიციის ფაზას მომავალი წლის გაზაფხულისათვის დაასრულებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

სამშაბათი 8 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ."კრიპტო სუპერ ძალლი" **10.15** ან. ფ. "საოცარი მისტერ ბარნანდერი" **12.40** მხ.ფ **"სად ხარ"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** მხ.ფ **"და ყველაფერი განათდა"** **00.20** ღამის კ/ჩვენება – მხ.ფ **"ნაპერწკალი"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "პრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – პ/პ "თავისუფალი დემოკრატები" (ორშ. გ/ჩვ) **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ფლორენცია" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – პ/პ "სოციალ – დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **22.00** "არგუმენტების დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი:"თემურ თათარაშვილი" **1** ნაწილი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **17** სერ. **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"სერფერების დრო"** (ბ. ლინდა) პრემიერა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"სრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** სპექტაკლი - "გუშინდელნი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. III **11.05** მოკ/ფ **"ჯედელი"** **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჭიდაობას რა უნდა"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "ჩემი ბიძა პეტრე ოცხელი" **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ანს."კელაპტარი" **17.05** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ **"პობოი"** **20.00** ღია აუდიტორია. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ოთარ ჭილაძე II ნაწ. (მანანა კვაჭანტირაძე) **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღირი ანბები" (გამ.) **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6620	ევრო — 2,2590
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6677	100 რუსული რუბლი — 5,1775

ამინდის პროგნოზი 8 ოქტომბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი
ტომი 2 ..... შავი ვარდი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები



მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა

20 სექტემბრიდან **გაიყიდება** ტომი 1 **ამერიკული ზღაპრები**

24 სექტემბრიდან **გაიყიდება** ტომი 2 **ჩეხური ზღაპრები**

27 სექტემბრიდან **გაიყიდება** ტომი 3 **ბრაზილიური ზღაპრები**

მედიცინასა და ფიზიოლოგიაში ნობელის პრემიის ლაურეატები დაასახელეს

2013 წლის ნობელის პრემია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, უჯრედშორისი უთთიერთქმედების ხეგულაციის მექანიზმის აღმოჩენისთვის, ამერიკელ მეცნიერებს, ჯეიმს როთმანს(იელის უნივერსიტეტი), რენდი შეკმანს(ბერკლი) და გერმანელ ტომას ზიუდოფს(სტენფორდის უნივერსიტეტი) მიენიჭა, - განაცხადეს ოსლობათს ნობელის კომიტეტში.

„ვეზიკულარული ტრანსპორტი“, - რასაც აღნიშნული მკვლევარები სწავლობენ, უჯრედებს სიგნალების გაცვლის საშუალებას აძლევს. მეცნიერებმა ამოხსნეს საიდუმლოება, როგორ ქმნიან უჯრედები ამ სატრანსპორტო სისტემას და ნივთიერებებს „საჭირო ადგილას და საჭირო დროს“ აწვდიან. თითოეული უჯრედი წარმოადგენს ქარხანას, რომელიც აწარმოებს და აწვდის მოლეკულებს. უჯრედის შიგნით ისინი გადაადგილდებიან მემბრანული ბუშტუკების(ვეზიკულების) სახით. ნობელის პრემიის სამმა ლაურეატმა, სისტემის ფუნქციონირების პრინციპი აღმოაჩინა.

„ამ სისტემის გაჩერებას დამღუპველი შედეგები აქვს და ნევროლოგიური ავადმყოფობების, დიაბეტისა და იმუნოლოგიური დარღვევების განვითარებისთვის პირობებს ქმნის“, - ნათქვამია კომიტეტის განცხადებაში.

დაჯილდოების ცერემონიალი, ტრადიციულად 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გაიმართება.

2013 წელს, თითოეული ნობელის პრემიის თანხამ 8 მილიონი შვედური კრონი(1,2 მლნ. აშშ დოლარი) შეადგინა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

„თბილისობა“ დასრულდა

„თბილისობა 2013“ ღია ცის ქვეშ გამართული მუზიკლით „ვეჩის უბნის მელოდიები“ დასრულდა. მუზიკლი ერთნლიანი პაუზის შემდეგ თბილისის მერიამ სპეციალურად „თბილისობის“ დღესასწაულისთვის აღადგინა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ვეჩის უბნის მელოდიების“ ფრანგი რეჟისორი ჟერარ ფლორენტინ ბენტიფორი ბრინჯაოს საპრეზიდენტო medlit-ით დააჯილდოვა. მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ქართველმა მუზიკლმა, რომელიც უცხოეთის ჩამდენიმე ქვეყანაშია მინვეული, მუზიკლების სფეროში გადატრიალება მოახდინა.

მიხეილ სააკაშვილმა ფრანგ რეჟისორს მრავალი წლის განმავლობაში ქართულ დასთან მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ რიყეზე მუსიკალურ თეატრს „არა მხოლოდ ვერ დაანგრევენ, არამედ მისი მშენებლობა დასრულდება კიდეც“.

ფრანგმა რეჟისორმა პრეზიდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქართველი მსახიობები განსაკუთრებით ნიჭიერები არიან. რედ ბენტიფორის მიერ დადგმული „ვერის უბნის მელოდიების“ პრემიერა შარშან აგვისტოში ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში გაიმართა. „თბილისობის“ ფარგლებში კი მუზიკლი ევროპის მოედანზე იქნა წარმოდგენილი, რომელიც ბუბა კიკაბიძე, სოფო ნიჟარაძე, ნოდიკო ტატიშვილი და ქართული კულტურის ცნობილი წარმომადგენლები მონაწილეობენ. მუზიკლის ნახვის სურვილი საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოთქვა და ევროპის მოედან-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ავთო ებრალიძე — დებიუტანტი ნაკრებში

ესპანეთში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. თუმცა, ყველაზე საინტერესო ამბავი ისაა, რომ „ჯვაროსნებში“ დებიუტანტია – პორტუგალიური „ჟილ ვისენტეს“ 22 წლის ქართველი შემტევი ავთანდილ ებრალიძე.

ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი პორტუგალიაში მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მისი პირველი პორტუგალიური გუნდი „ლაგოს დე ესპერანსა“ იყო. შემდეგ, ის „ხეტაფეს“ ახალგაზრდულ გუნდში, „ჟუვენტუდ ევორასა“ და „ოლივეირენსეში“ თამაშობდა. ამჟამად კი, როგორც უკვე ვთქვით, „ჟილ ვისენტეს“ ღირსებას იცავს.

ახლა კი, სხვა ცვლილებების შესახებაც: ტრავმის გამო, ესპანეთში ვერ გაემგზავრება ალექსანდრე ამისულაშვილი. ხოლო მწვრთნელის გადაწყვეტილებით, სიაში აღარაა ირაკლი მაისურაძე. ესპანეთში წამსვლელებს კი, ალექსანდრე კვახაძეც დაემატა.

საქართველოს ნაკრებისა და დელეგაციის ნაწილი ესპანეთში ხვალ გაემგზავრება. ლეგიონერების ძირითადი ბირთვი პირდაპირ ალბასეტეში ჩავა და გუნდი მზადებას დაიწყებს. 11 ოქტომბერს, ქეცბაიას განკარგულებაში უკვე ყველა ფეხბურთელი იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ჯიხვების ჯოგი; 2. ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 4. ღვინის სასმისი; 5. სოფელთა სახელწოდება შუაზიაში; 8. სასიძო ქორწილში; 9. მარცვლეული მცენარე; 10. ტბა სამხრეთ საქართველოში; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 13. ჯეიმს ჯოისის რომანი; 15. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად.

თარაზულად: 1. იტალიური ლიქიორი; 6. ქალაქი კახეთში; 7. გზისპირა პატარა რესტორანი ესპანეთში; 10. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 11. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 13. მუზეუმი ფლორენციასი; 14. ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი; 16. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 17. პროდუქტზე, ნაწარმზე დაკრული სავაჭრო ნიშანი; 18. სია, ჩამონათვალი რაიმეს მიღება-გაცემის შესახებ.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი 8 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!